პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივი ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ხერხ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ ორ საათ.

დღიური

შტრეზემანმა განაცხადა, რომ გერმანიისათვის უფრო მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირთან დაახლოვება, ვიდრე ერთა ლიგაში შესვლა.

საფრანგეთში სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებებში დაიწყო გაფიცვები.

ინგლისის ნავთსადგურების მუშაკთა გაფიცვა ფართო ხასიათს ღებულობს.

დაიხურა ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია.

უახლოეს ხანში საბჭოთა ფედერაციაში გამოვა ლითონის ფული, რომლის მოჭრა უკვე დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 43 (895) ხუთშაბათი 21 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 43 (895)

შაბათს 23 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პროსპ., 22) შესდგება

ცენტრალური კომიტეტის გაფართოვებული პლენუმი

სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნებთან ერთად.
ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლომინაძე.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა პარასკევს 22 თებერვალს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასმული იქნას საკითხი:

მე-13-ე პარტკონფერენციის შედეგები.

პარტმშენებლობის და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

როგორც მასალა უნდა ისარგებლონ ამხ. სტალინის მოხსენებით სრულიად საკავშირო პარტკონფერენციაზე და კამათით ამ მოხსენების გამო, ბროშიურით: მე-13 პარტკონფერენციის რეზოლიუციები (საქ. კომპარტიის ტფ. კომიტ. გამოცემა) და ამხ. ზინოვიევის სიტყვით საბჭოთა ყრილობის ფრაქციის სხდომაზე („კომუნისტი“ 10, 13, 14, 15 და 16 თებერვლის ნომრები).

ტფ. კომ. მდივანი **რუბენი.**

ხუთშაბათს, 21 თებერვალს
საღამოს 8 საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბში (კიროჩნი ქ. მუშკოპის ბინა).

ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად
შესდგება
სამგლოვიარო საღამო

სთხოვენ ყველას, ვინც პირადათ იცნობდა ვ. ი. ლენინს, გამოვიდენ თავისი მოგონებებით.

პარტიის ყველა წევრებისათვის შესვლა თავისუფალია. საჭიროა პარტიული ბარათების წარმოდგენა.

კლუბის გამგეობა

წითელი არმიის 6 წლის თავი

(თეზისები)

1. წითელი არმია დღესასწაულობს 6 წლის თავს. ეს დღესასწაული შეხვდა საბჭოთა კავშირისათვის და კერძოდ წითელი არმიისათვის მნიშვნელოვან ამბებს. ინგლისი, იტალია და ნორვეგია იძულებული იყვნენ ეცნოთ ჩვენ იურიდიულად. სხვა სახელმწიფოები ჩქარობენ მიჰბაძონ მათ მაგალითს. თვით ჩვენი მტრები აღიარებენ, რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა. ჩვენი მეურნეობა შეუჩერებლად უმჯობესდება. „მაკრატლის“ პირი ერთმანეთს უახლოვდება და მუშებისა და გლეხების კავშირი მაგრდება. შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ჩვენ ვატარებთ ტერიტორიალურ სისტემას. აღნიშნულ მიღწევებთან ერთად ჩვენ გვეწვია უდიდესი უბედურება: ჩვენ დავკარგეთ უდიდესი ბელადი-ვლადიმერ ილიჩ ლენინი. ბელადი მოკვდა, მაგრამ მისი მცნებანი დარჩენ ჩვენს გულში და ჩვენ პროლეტარული სახელმწიფოს, კერძოთ კი წითელი არმიის მშენებლობის დროს ვივლით მის მიერ ნაჩვენები გზით.

2. წითელი არმიის შემადგენლობა სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ შემცირდა და ახლა მისი რაოდენობა არ აღემატება 600,000 კაცს. არმიის შემცირება გამოწვეული იყო საბჭოთა ხელისუფლების სურვილით, რაც შეიძლება მეტი ძალები და საშუალებები გადმოესროლა შრომის ფრონტზე. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ვისწრაფვით მშვიდობიანობისაკენ, ჩვენ იძულებული ვართ ვიყოლიოთ წითელი არმია, ვინაიდან არც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო არ თანხმდება განიარაღებაზე.

ყველა ჩვენი ცდები ამ მხრივ (ჩვენი წინადადებები გენუაში, ბალტიის მხარის სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევა მოსკოვში) ამაო აღმოჩნდენ.

3. ჩვენი კავშირის თავდაცვის უნარიანობის უზრუნველყოფის ამოცანამ, არმიის მაქსიმალურად შემცირების პირობებში, გვაიძულა ჩვენ მიგვემართა თავდაცვის ორგანიზაციის ახალი ფორმებისათვის. შემოღებულია ტერიტორიალური ნაწილები, რომლის პირველმა ცდებმა ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. საჭიროა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რეორგანიზაცია ისე, რომ აუცილებელი სამხედრო მომზადება მიეცეს მშრომელთა რაც შეიძლება მეტ რიცხვს ნაყოფიერი შრომისაგან რაც შეიძლება ნაკლებათ ჩამოშორების პირობებში. ამით მიღწეული იქნება: ა) საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება და ბ) სამხედრო ბიუჯეტის შემცირება და მშრომელთა ფართე მასებისათვის გადასახადების შემცირება.

ტერიტორიალური სისტემა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ინახავს მცირე კადრს. სამხედრო ვალდებულთა მთელი დანარჩენი მასა ივლება ნამდვილ სამხედრო სამსახურში განსაზღვრულ ნაწილებში, განაგრძობს ნაყოფიერ შრომას და მხოლოდ წელიწადში ერთი ან ორი თვით იკრიბება სამხედრო სწავლისათვის.

4. ჩვენი მზრუნველობა წითელ ჯარზე არ შეიძლება შესუსტებული იქნეს მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ გვიცნენ ევროპის დიდმა ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა. მიუხედავათ იურიდიულათ ცნობისა, ჩვენ მაინც ვიმყოფებით კაპიტალისტურ რკალში. საბჭოთა წყობილების ცნობა მოვიდა ორი გზით: ერთის მხრით ბურჟუაზიული ქვეყნების მშრომელი მასების ძალდატანება თავის მთავრობებზე, მეორე მხრით—ამ ქვეყნების ეკონომიური დაბრკოლებები, რაც უკარნახებს მათ კავშირის, ბაზრების გაფართოებას. ეს ცნობა ხელს შეუწყობს ჩვენი მეურნეობის სწრაფ აღდგენას, უზრუნველყოფს ჩვენთვის უფრო ხანგრძლივ დასვენებას. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია სისწორით განვსაზღვროთ როგორი ტემპით განვითარდებიან მოვლენები ერთის მხრით ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის კოლონიებისა და ბაზრებისათვის კონკურენციის გამო, მეორე მხრით კლასთა ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც დღითი დღე მწვავდება. ამიტომ ჩვენ მუდამ ჟამს ფხიზლად უნდა ვიყოთ. აი, რატომ რჩება ჩვენს მორიგ ამოცანათ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება და მუშებისა და გლეხების მაქსიმალურად ჩაბმა სამხედრო სწავლის საქმეში.

5. საბჭოთა კავშირის ძლიერების მთავარ პირობას წარმოადგენს მუშებისა და გლეხების კავშირის დაცვა, რაც გვიანდერძა ჩვენ ვ. ი ლენინმა. ქალაქის კავშირი სოფელთან, მუშის კავშირი გლეხთან წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო აღორძინების, სოციალისტური მშენებლობის და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის აუცილებელ პირობას. ტყუილათ კი არ შეადგენდა „მაკრატლის“ საკითხი, რომელიც იპყრობდა მთელი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ყურადღებას, ცენტრალურ საკითხს დასრულებულ პარტიულ კონფერენციაზე დასაბჭოების ყველა რესპუბლიკანურ ყრილობებზე და საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობაზე.

6. ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი პასუხისმგებლობა გაიზარდა. ვლადიმერ ილიჩ ლენინი გვიკვლევდა ჩვენ გზას ცხოვრების ყველა დარგებში. მას ეკუთვნოდა გადამჭრელი სიტყვა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, საერთაშორისო საკითხებშიც, ჩვენს მეურნეობაშიც საბჭოთა აღმშენებლობაში და წითელი არმიის ორგანიზაციაშიც.

მისი სიკვდილის შემდეგ პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე აწვება იმ პარტიას, რომელიც მან შექმნა და აღზარდა. რ. კ. პ. ერთი წლის მუშაობამ ულენინოთ (მისი ავადმყოფობის დროს) გვიჩვენა, რომ რ. კ. პ. მტკიცედ მიდის იმ გზით, რომელიც დაგვისახა ლენინმა. საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები უფრო მჭიდროთ უნდა შემოკრბენ რ. კ. პ. გარშემო. ყველაზე შეგნებულ პროლეტარების ამოცანას შეადგენს—რ. კ. პ. რიგების შევსება. ამხ ლენინის მაგიერობის გაწევა შეუძლია მხოლოდ მტკიცედ შეკავშირებულ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ცხოვრობს და მოქმედობს ლენინის მცნებათა მიხედვით.

7. ლენინის სიკვდილმა საგრძნობათ იმოქმედა წითელ არმიაზეც. მან დაჰკარგა თავისი საუკეთესო ბელადი და სულის ჩამდგმელი, რომელიც ყველაზე მეტი მზრუნველობით და სიყვარულით ეპყრობოდა მას. ზრუნვა წითელ ჯარზე ეკისრება კომუნისტურ პარტიას, მუშათა კლასს და გლეხობას.

წითელი არმიის ექვსი წლის თავი უნდა ჩატარდეს წითელ არმიისადმი უფრო მეტი ყურადღების სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე და სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ სახლში დაბრუნებულ წითელ არმიელებზე უფრო მეტი მზრუნველობის ნიშან ქვეშ. მეტი ენტუზიაზმი წითელი არმიის რიგების შევსების საქმეში, ნაცვლად სახლში დაბრუნებულთა.

რ. კ. პ. საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ანთხევენ უკანასკნელ გესლსა და შხამს...

ჩვენი მკითხველები გაეცნობიან ქვემოთ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატის პრესის განყოფილების წერილს იმ ცილისწამების და ინსინუაციების კორიანტელის შესახებ, რომელიც დააყენა მსოფლიო რეაქციონურმა პრესამ ჩვენს შესახებ.

ჩვენ არასოდეს არ მოგვსვლია აზრათ, რომ როგორც პარტიული ისე სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით მოგვენადირებია ჩვენი მტრების გული და კეთილგანწყობილება. როდესაც რევოლიუცია, ჩვენი პარტიის მეთაურობით, ცეცხლითა და მახვილით წინ მიაქანებდა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს და მიწასთან ასწორებდა ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ეკონომიურ წესწყობილებასა და სახელმწიფოს, როდესაც ის ანადგურებდა წინააღმდეგობის გამწევ ძალებს ძველი რეჟიმისას—ჩვენ ამ დროს საერთაშორისო ბურჟუაზიას თვალებში კი არ შევსცქეროდით, რათა მათ გამომეტყველებაში ამოგვეკითხა რამდენად ნებას დაგვრთავდა ის ჩვენ, გავსწორებოდით მის კლასიურ ძმებს ძველი რუსეთის ტერიტორიაზე. რომ მისთვის ფრიად სასიამოვნო არაფერი იყო ჩვენს მოქმედებაში, რომ პირიქით, რევოლიუციის მახვილი, რომელიც ტრიალებდა და „ისტორიულ სამართლიანობას“ აღდგენდა დედამიწის ერთ მეექვსედზე, მიმართული იყო მის წინააღმდეგაც ეს ვინ არ იცოდა. ტ, რასაკვირველია, რევოლიუციონური რუსეთი ყველაზე ნაკლებათ, უკეთესად რომ ვსთქვათ, სრულებიდაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ ასეთი „ამბავი“ „ეჭაშნიკებოდა“ მსოფლიო კაპიტალს.

ცხადი იყო, რომ ის იარაღით შეეცდებოდა „გიჟის“ „მოჭკუიანებას“ და კიდევაც შეეცადა ამას, სანამ ცხვირპირ გასწორებული უკან არ გაიქცა თავის ხვრელში შესაძრომათ.

ისიც აშკარა იყო, რომ, დამარცხებული ამ გზით, ის თავის ეკონომიურ ძლიერებით ისარგებლებდა, რათა ეკონომიურათ მიეკლა რევოლიუცია.

აქაც დამარცხდა.

მას უნდა ესარგებლა თავისი პრესითაც, რათა თავხედური ინსინუაციებით და ტყუილებით „დაემუშავებია“ „საზოგადოებრივი აზრი“ თავისი ქვეყნებისა და აემხედრებია ის ჩვენს წინააღმდეგ და კიდევაც ასე მოიქცა. მაგრამ ეს ცილისწამებისა და ინსინუაციების კამპანია არ უწარმოებია მას ისეთი გესლითა და ისე ფართოთ, როგორც ამის ნიმუშს იძლევა ის დღეს.

წითელი არმიის აჯანყება, მუშების გაფიცვები, რევოლიუციის ბელადების ერთი-მეორის წინააღმდეგ გალაშქრება და სხვა ასეთები, რომლებსაც თითქოს ადგილი აქვთ საბჭოთა კავშირში—აი რას ჩასძახიან ყურში „საზოგადოებას“ ბურჟუაზიული პრესის ორგანოები. საბჭოთა კავშირის მცხოვრებლებში, რომლებმაც იციან რამდენათ ნორმალური პირობები შეიქმნა ჩვენი სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მუშაობისთვის, ყველა ამ ჭორებსა და ტყუილებს შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ღიმილი და ზიზღი. მაგრამ ასე როდია საქმე იქ, სადაც ამ ხმებს კიდევ აქვს გასავალი „საზოგადოების“ ზოგიერთ წრეებში და შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს დროებით ისინი.

მაგრამ ისევე, როგორც დღემდე (სხვა საშუალებებით შემოტევის დროს) საერთაშორისო ბურჟუაზიას განუცდია დამარცხება, — დღესაც ასეთ დამარცხებას იგემებს ის და სიმართლე ჩვენი საბჭოთა სინამდვილის შესახებ შეიქნება რამოდენიმეთ მაინც კუთვნილებათ იმ წრეებისათვის, რომლებისთვისაც არის შეთითხნილი რეაქციონური პრესის კამპანია.

რაც მოხდა—ის მოხდა: ბურჟუაზიის ოინბაზები ვერ ამოშლიან სინამდვილიდან ურყევ ფაქტს ჩვენი კავშირის არსებობისა, განმტკიცებისა და განვითარებისას. მათმა ცილისწამებამ და ტყუილებმა ვერაფერი დაგვაკლო ჩვენ მაშინ, როდესაც შედარებით სუსტი ვიყავით და უსწორო ბრძოლას ვაწარმოებდით საერთაშორისო კაპიტალის შავ ურდოებთან. მაშ რა უნდა გვავნოს ჩვენ დღეს მათმა განგაშმა.

მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი გარემოება. ჩვენმა სიმტკიცემ გაარღვია მტრების ბლოკადა. დღეს ერთი-მეორეს ასწრებენ ისინი ჩვენ „საცნობათ“. მდგომარეობა, რომელშიც ამოყვეს თავი კაპიტალიზმის ძველმა და ახალმა სახელმწიფოებმა, ძლიერი მუჯლუგუნებით ერეკება მათ, რათა დაგვიახლოვდენ ჩვენ. იცნონ იურიდიულათ საბჭოთა კავშირი. ეს არის მათი დიდი დამარცხება, წინა მორბედი მომავალი საბოლოო დამარცხებისა და დაღუპვის უკვე გაშლილ ბრძოლაში, რომელიც მზადდება საერთაშორისო მასშტაბით. სწორეთ დღევანდელი მორიგი დამარცხების „მიფუჩეჩება“, ინსინიუაციებისა და ცილისწამების ნისლში მისი გახვევა არის მიზანი რეაქციონური პრესის ამ კამპანიის.

დეე მტრებმა ანთხიონ გესლი და შხამი, ატყუონ და გააბრუონ ვისი მოტყუებისა და გამოყეყეჩების ძალა კიდევ შესწევთ მათ დღეს. ისინი განწირული არიან ისტორიისაგან...

სოფლის საბჭოს ამოცანები

საუკუნეთა განმავლობაში გლეხობა მონობის უღელქვეშ იზრდებოდა. მებატონე და მისი მოურავი, შემდეგ ჩაფარი და ბოქაული, გლეხს მხოლოდ ლანძღვა-გინებით და მათრახით მიმართავდა. როდესაც თითონ გლეხი სიმართლეს ეძებდა, პირველად ყოვლისა, მოსამართლეს ან მთავრობის სხვა რომელიმე მოხელეს ქრთამს მიართმევდა(სხვანაირად ძლევენს). ქრთამს ღებულობდა ყველა: ბოქაული, მოსამართლე, მღვდელი, ჯარში გამწვევ კომისიის წევრი ექიმი, მამასახლისი და ყოველი თანამდებობის პირი, ვისთანაც გლეხს საქმე ჰქონდა. აქედან ცხადია, გლეხი მთავრობის ყოველ მოხელეში მხოლოდ მოძალესა და მექრთამეს ხედავდა.

რევოლიუციამ ყველაფერი ეს ძირფესვიანად შესცვალა. დღეს გლეხი მხურვალე მონაწილეობას იღებს საბჭოთა რესპუბლიკის ორგანოების არჩევნებში დ ხელს უწყობს მათ ყოველგვარ ზომების გატარებაში. მაგრამ მისი ფსიქოლოგია ჯერ მაინც ვერ გადაეჩვია სახელმწიფო აპარატისა და მის თანამშრომელთადმი უნდობლობით შეხედვას. ხელისუფლების მოქმედებაში გლეხისათვის კიდევ ბევრი რამ გაუგებარია.

ავიღოთ, მაგალითად, გადასახადების საქმე. გლეხი ამ საკითხს ასე აყენებს: ჩვენს სოფლებში გზებსა და ხიდებს ჩვენვე ვაკეთებთ, სკოლების შენობას ვმართავთ, რკინის გზით მოგზაურობის დროს ბილეთს ვყიდულობთ, ფოსტა-ტელეგრაფით სარგებლობაში საფასურს ვიხდით. მაშ რად გვახდევინებენ გადასახადს?. ამ საკითხზე გლეხი პასუხს ვერ ღებულობს. გლეხი ვიწრო მსოფლმხედველობის მქონეა: ის კარგად ვერ ამჩნევს, რომ, გარდა სოფლის პატარა გზებისა, არის დიდი გზები, რომლებიც სოფელს ქალაქებთან აკავშირებენ; არის დიდი ხიდები, რომელთა შეკეთებასა და შენახვას დიდი თანხა სჭირდება; არის სახელმწიფოს მთელი აპარატი, რომელიც არსებობს მხოლოდ მუშებისა და გლეხების ინტერესების დასაცავად. გლეხმა არც ის იცის, რომ სკოლის შენობის აგება გაცილებით უფრო ნაკლები ღირს, ვიდრე მისი შინა-მოწყობა: შეძენა სასწავლო ნივთებისა, წიგნებისა, სახელმძღვანელოებისა; ან კიდევ მასწავლებლების დაქირავება და რესპუბლიკის მასშტაბით განათლების საქმის მართვა-გამგებლობა. ამ საკითხებს ახსნა უნდა. ვისგან უნდა მიიღოს გლეხმა ამაზე პასუხი? ახალი თაობა—სასწავლებლებში და მოზარდნი—წითელ-არმიაში შეისწავლიან და შეიგნებენ ამას; მაგრამ რა უნდა ქნას იმ გლეხობამ, რომლის კისერზე დღეს ოჯახის მთელი ტვირთია და რომელიც ამავე დროს იხდის სახელმწიფო ვალდებულებებს? ჩვენს სოფელში ცოტაა სამკითხველოები. საკვირაო სასწავლებლები კიდევ უფრო ნაკლებია. მაგრამ კიდევ რომ იყოს ყოველივე ეს საკმარისად, წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი იმით მაინც ვერ ისარგებლებს. ჩემის აზრით, ამ საკითხების გლეხობისათვის გასაშუქებლად არსებობს ერთადერთი ორგანიზაცია—**სოფლის საბჭო.** აქ გლეხი გაეცნობა იმ მიზეზებს, თუ რატომ არსებობს სამხედრო ძალა—ჯარი, რესპუბლიკის მთელი აპარატი და მათ შესანახად ბეგარა და გადასახადი.

სოფლის საბჭოში გლეხმა უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ მართვა-გამგეობა აწ მხოლოდ გლეხებისა და მუშების საქმეა და იგი მათ ხელშია. სოფლის საბჭომ უნდა მიიზიდოს გლეხი მწვავე საკითხების გადასაჭრელად. საბჭომ უნდა გააღვიძოს გლეხში კულტურისადმი მისწრაფება და გამოაჩინოს აქტიობა სოფლის საქმეებში. სოფლის საბჭო უნდა გახდეს გლეხისათვის ალსარების ადგილად. საბჭოს საშუალებით, გლეხმა უნდა იგრძნოს თავი, რესპუბლიკის კანონმდებლობის სისწორით გატარებაში, პასუხისმგებლად.

ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევსძელით პერიფერიებში ხელისუფლების ორგანოთა სრულიად გაწმენდა ძველი „ჩინოვნიკებისაგან“. თითო-ოროლა „მოსე მწერალი“ კიდევ მოიპოვება ჩვენს რაიონებში. აქედან ცხადია, რომ მექრთამეობასაც აქვს ადგილი. როგორ უნდა აღმოვფხვრათ ჩვენ ეს სამარცხვინო მემკვიდრეობა? ჩემის აზრით—ისევ სოფლის საბჭოს საშუალებით. გლეხი ძველად ვერ ამხელდა მექრთამეს, რადგანაც იცოდა, რომ მთავრობის ყველა მოხელე ქრთამს იღებდა და მექრთამეთა მხილებისათვის თვითონ გლეხს დასჯიდენ. დღეს, გლეხი იმდენად უნდა დაიახლოვოს სოფლის საბჭომ, რომ მას შეეძლოს გულახდილად და უშიშრად ამხილოს ყოველი მექრთამე. თუ სოფლის საბჭო მართლა ალსარების ადგილი იქნება გლეხისათვის, თუ გლეხი თავს იგრძნობს სოფლის საბჭოში ისე, როგორც ფართო გლეხურ ოჯახში, მაშინ ის მექრთამეს ამხელს. გლეხი საბჭოში გააცხადებს ყოველივე უკანონობაზე. ამისათვის ძალიან კარგი იქნებოდა, რომ საბჭოს სხდომები იყოს ღია და ესწრებოდენ წევრებსა და კანდიდატების გარდა, მახლობელ სოფლის ყველა გლეხი. დაე, ყოველმა მათგანმა იცოდეს, რომ საბჭო ბიუროკრატიული დაწესებულება კი არ არის, არამედ თვით მუშებისა და გლეხების საერთო ოჯახია, რომ იგი მხოლოდ მათ ბედნიერებაზე ზრუნავს.

საბჭოების სხდომებზე უნდა იქნეს გადასინჯული ის ზომები, რომლებიც უმაღლესმა ორგანომ—რაიაღმასკომმა—ცხოვრებაში გაატარეს. უნდა იქნეს შეკითხული ყველა დამსწრე პირი მის შესახებ, თუ რა უსამართლობას ჰქონდა ადგილი აღნიშნულ ზომათა ცხოვრებაში გატარების დროს. უნდა იქნეს აღნუსხული დაბრკოლებებიც თუ მათ ადგილი ჰქონდათ.

სხდომებზე უნდა განიმარტოს მომავალში გასატარებელი ზომებიც. უნდა იქნეს დასურათებული აუცილებლობა და სარგებლიანობა ამ ზომათა. გლეხმა უნდა იცოდეს, სად მიდის მისგან გაღებული კაპეიკი, რა კეთდება ამით. საუბედუროდ დღემდე ასე არ იყო: თემის აღმასკომი აცხადებდა, თუ ვის რამდენი უნდა გადაეხადა; ხშირად, გადახდის დღემდე, გლეხმა არც კი იცოდა, თუ რამდენი აქვს მას შეწერილი. ამას ბოლო უნდა მოეღოს. გლეხს სახლში სალარო არა აქვს. თითეული კაპეიკი მან უნდა იშოვოს თავისი ნაწარმოების რეალიზაციით. სოფლის ნაწარმოებთა გასაღება დღეს ადვილი არ არის. მაშასადამე, გლეხმა ადრევე უნდა იცოდეს, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს. გადასახადთა გაწერის საკითხში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს არა მარტო საბჭო თავის შემადგენლობით, არამედ—შეძლებისდაგვარად—გლეხების უმრავლესობაც. ამრიგად არც მექრთამეობას ექნება ადგილი და არც ნათესაურ მიდგომას. ყოველივე ვალდებულება გლეხმა შეგნებულად უნდა მოიხადოს. სოფლის საბჭოში ყოველთვის იქნება ისეთი წევრი, რომელსაც გლეხის ვალდებულებათა ახსნა-განმარტება შეეძლება. სადაც ასეთი წევრი არ აღმოჩნდება, იქ ეს უნდა იკისროს რაიაღმასკომის წარმომადგენელმა. ეს საძნელო საქმე არ არის, რადგან რაიონის ტერიტორიაზე 2—4 მდე საბჭოა, ხოლო გადასახადები და სამხედრო ბეგარა წელიწადში ერთხელ, ან ორჯერ ტარდება.

აღნიშნული საკითხების გარდა, სოფლის საბჭოს სხდომაზე უნდა იქნეს განხილული მისი ტერიტორიის კეთილ-მოწყობის: სკოლების, სამკითხველოების, კოოპერატივების, გზების, ხიდების, სარწყავ არხების და სხვა ადგილობრივ მეურნეობის მოგვარების საკითხები. ზოგი ამ საკითხთაგანი ისე მწვავეა, რომ მისი გადაჭრა ძალიან საჩქაროდ უნდა მოხდეს.

ავიღოთ, მაგალითად, „მაკრატლის“ საკითხი. რესპუბლიკის ხელისუფლებამ ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოებზე ფასი დასწია, მაგრამ ვინ არის იმის თავდები, რომ ეს ფასის დაკლება, გლეხის ჯიბეს მოხმარდება. ტფილისში ფასების დაკლების შემდეგ, ნავთის გასაღებამ ერთი-სამად იმატა. რა თქმა უნდა, ეს იმიტომ კი არა, რომ ამ პროდუქტზე მუშებისა და გლეხების მოთხოვნილება თხუთმეტ დღეში სამჯერ გაიზარდა, არამედ იმის გამო, რომ ვაჭრები სარგებლობენ ფასების დაკლებით და დიდ მარაგს ამზადებენ. რა თქმა უნდა, ეცდებიან, რომ თავის დროზე სოფლად გაიტანონ და გლეხს ერთი სამად მიჰყიდონ. ხსნა ვაჭრების კლანჭებიდან დამოკიდებულია კოოპერატივების გამრავლებაზე. ეს უნდა აუხსნათ ჩვენ გლეხებს და უნდა დავარწმუნოთ, რომ ყოველ სოფელში კოოპერატივები მოაწყონ.

გლეხმა უნდა შეიგნოს, რომ ასეთი საკითხების დაძლევა თითოეულ ოჯახისათვის ცალკე ძნელია, ხოლო მთელი სოფლისათვის ადვილია და შესაძლებელი. სოფლის საბჭო უნდა იყოს ის ორგანიზაცია, რომელიც ამ პატარა საკითხებს საერთო ძალით მოაგვარებს. სოფლის საბჭო გლეხებისათვის უნდა გახდეს სკოლაც და ქარხანაც.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ სოფლის საბჭო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო კი არ არის, არამედ გლეხთა ნებისყოფის ორგანიზაცია, კოლექტივი, საზოგადო ოჯახია. აქ გლეხი პირველად ითვისებს საჭიროებას ვიწრო ოჯახურ მსოფლმხედველობის გაფართოებისას და იმის წარმოდგენას, რომ ძალა ერთობაში და ორგანიზაციაშია. გლეხი კლასობრივად ჩამოუყალიბებელი ელემენტია. საჭიროა მისთვის სოციალურ ინტერესების შეგნება. მან უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო კლასობრივ საზოგადოების საცხოვრებელი ფორმაა და ბედნიერია მხოლოდ ის კლასი, რომლის ხელშიაც ძალა-უფლება არის. გლეხმა უნდა შეისისხლხორცოს მუშურ-გლეხური ხელისუფლების იდეა და შეგნებულად უნდა ჩაებას მართვა-გამგეობის აქტიურ მუშაობაში. ეს მხოლოდ სოფლის საბჭოს საშუალებით შეიძლება.

თუ სოფლის საბჭოს მუშაობა ჩვენ სათანადო დონეზე დავაყენეთ, ის გლეხის ყველა ამოცანას გააშუქებს და რასაც ჩვენ აღმასრულებელ ორგანოებს ვაკისრებთ, ის აღსრულებული იქნება თვით გლეხებისაგან სრულიად უყოყმანოდ.

ი. ტალახაძე.

საფინანსო კითხვები

2. ისევ აპარატის შესახებ

სამფინგანის მოწყობა უპირველესად ტეხნიკური საკითხია, რომელიც საკმარისად უნდა იქნეს შესწავლილი და გათვალისწინებული, რომ ახალი აპარატი თავიდანვე სისწორით და მიზანშეწონილად ჩამოყალიბდეს.

როგორც პირველ წერილში *) აღვნიშნეთ, მთელი რიგი ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელი საფინანსო აპარატებისა სამფინგანში იყრის თავს; ხაზინა და სხვა ადგილობრივი სალაროები, ფინინსპექცია და არაპირდაპირი გადასახადთა ინსპექცია და, ბოლოს, ადგილობრივი ფინგანყოფილება, აი ის აპარატები, რომლებიც მომავალში უნდა შეერთდენ ერთ აპარატში—სამფინგანში.

ცხადია, რომ თავის წიგნები ყველა ამ აპარატებმა უნდა მოაწესრიგონ ადრე, ვინემ ისინი სამფინგანის სახით გაერთიანდებოდნენ. თუ ეს მოთხოვნილება დაცული არ იქნა, მაშინ სამფინგანი ვერ გაერკვევა იმ მემკვიდრეობაში, რომლის პატრონობა და ხელმძღვანელობა მას ევალება.

მაგრამ ამ აპარატების გაერთიანება ნიშნავს თუ არა მათ ერთი-მეორეში გათქვეფას? სრულიადაც არა.

სამფინგანის შემადგენელ ნაწილებს უსათუოდ უნდა შერჩეს თავისებურობა; მათ ეყოლებათ მხოლოდ საერთო ხელმძღვანელი—სამფინგანის გამგე.

ადგილობრივი ფინანსები და რესპუბლიკანური შემოსავალ-გასავალი ერთი-მეორისაგან არსებითად დამოუკიდებელია. აღმასკომს საკუთრად რჩება მისი უძრავი და მოძრავი ქონება, მისი სპეციალური მიმდინარე ანგარიშები, სესხის ანგარიშები და სხვა. აღმასკომის და რესპუბლიკის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები ერთი - მეორესაგან დამოუკიდებლათ ცალ-ცალკე სწარმოებს. ანგარიშწარმოება (**СЧЕТОВОДСТВО**) და ადგილობრივ და სახელმწიფოს ბიუჯეტების ანგარიშიანობა (**ОТЧЕТНОСТЬ**) ადგილობრივ პარალელურად ხდება იმ წესით, როგორც ეს არის ა | კ. ფინსახკომის ინსტრუქციის (№ 237) 13—16 და 18 მუხლებში აღნიშნული.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ზოგიერთ მაზრებში ორმაგი იტალიანური ბუხჰალტერია ჯერ არაა შემოღებული; ხსენებული ინსტრუქცია კი კატეგორიულად მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მეტა სისწრაფით იქნეს შემოღებული ორმაგი ანგარიშწარმოება.

სამწუხაროდ, ანგარიშწარმოებას ხაზინები პრიმიტიული წესით აწარმოებენ და, რადგან ორმაგი ბუჰალტერიის მცოდნე პირები ბევრი არ მოიძებნება, აღმასკომები პირველ ხანებში იძულებულნი იქნებიან დასტოვონ ადგილობრივი ფინანსებისათვის ორმაგი იტალიანური ბუჰალტერია და რესპუბლიკის ფინანსებისათვის კი უბრალო. ამ დარგში მომუშავეთა მთავარ კადრს ხაზინების მოხელეები შეადგენენ, რომლებიც ხაზინების გაუქმების შემდეგ სამფინგანში გადავლენ.

სამფინგანში მეტად საყურადღებოა სალარო, რომლის მთლიანობას ინსტრუქცია კატეგორიულად მოითხოვს. ყოველგვარი ადგილობრივი შემოსავლის სამფინგანის სალაროში გროვდება და შემდეგ თანხები აქედან თანახმად ნებადართულ კრედიტებისა და ასიგნობისა (ინსტრუქციის 24 მუხლი და შენიშვნა) ნაწილდება.

ასეთივე წესით სწარმოებს სახელმწიფო შემოსავლების მიღება და მათი განაწილება (მუხ. 25).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კასის მთლიანობის საკითხი.

კასის მთლიანობა გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ ადგილობრივი და რესპუბლიკის თანხები ერთად ინახება და საერთო გამგის განკარგულებაში იმყოფება; მაგრამ სალაროში დაგროვილ თანხებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც ეს თანხები ეკუთვნის. აღმასკომს არ შეუძლია ისარგებლოს იმ თანხით, რომელიც მას არ ეკუთვნის და არც რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია ისარგებლოს იმ თანხით, რომელიც მას არ ეკუთვნის. ეს დებულება გარდაუვალია და მისი დარღვევა დაუშვებელი (მუხ. 26, შენიშვნა)—კასაში დაგროვილი თანხების მოძრაობა ბიუჯეტების საფუძველზე ხდება.

განაწილება, კრედიტების აღრიცხვა (учет) და თანხების გაცემის წესი.

თანხების ან შემოსავლის განაწილება სავსებით ბიუჯეტს ეყრდნობა, და ამიტომ კრედიტებს აღმასკომის განყოფილებებს სამფინგანი უხსნის თანახმად დამტკიცებულ ბიუჯეტისა და ბიუჯეტში მიღებულ ნორმებისა. აღმასკომის განყოფილებებს არა აქვთ უფლება თავიანთი ნებით შეცვალონ კრედიტების დანიშნულება და კრედიტები ერთი პარაგრაფიდან მეორეში გადაიტანონ; კრედიტის დანიშნულების შეცვლა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება და ისიც მხოლოდ ერთი და იმავე პარაგრაფის ფარგლებში. მაგრამ ამ ფარგლებშიც კი ერთი მუხლიდან მეორე მუხლზე კრედიტის გადატანა რომელიმე განყოფილების გამგეს შეუძლია სამფინგანის მოხსენებისა და აღმასკომის ნებართვის მიღების შემდეგ.

ჩვენი აღმასკომების ცხოვრებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც განსაზღვრულ პერიოდისათვის გათვალისწინებული შემოსავალი სავსებით არ შემოდის და ამიტომ ბიუჯეტში აღნიშნული ხარჯების სავსებით დაფარვა შეუძლებელი ხდება. ასეთ პირობებში, თანახმად სამფინგანის მოხსენებისა შემოსავლის და ხარჯების რაოდენობის შესახებ, აღმასკომის პლენუმი 2 აპრილის დეკრეტის (განყ. 1, თავი 3 §10) მოთხოვნილებათა საფუძველზე ანაწილებს თავის თანხებს.

ასეთია ძირითადი დამახასიათებელი მომენტები სამფინგანის საანგარიშო—საკასო ქვეგანყოფილებისა, მაგრამ საჭიროა აქ ხაზგასმით მოვიხსენიოთ ამ ქვეგანყოფილების მოვალეობა ბიუჯეტის შედგენაში და მის შესრულებაში: ის ამზადებს მასალას და ადგილობრივი შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას აღგენს; აგრეთვე მაზრის ფარგლებში ის ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის ელემენტებს, რომელიც შემდეგ რწმუნებულის სამმართველოში გროვდება, აქ სხვა მასალებთან ითქვიფება და შედის ერთ მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში.

საანგარიშო—საკასო ქვეგანყოფილების საბიუჯეტო მოვალეობა ნათელჰყოფს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამფინგანის შესაფერად, მიზანშეწონილად მოწყობას.

დ. თ.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 42.

ცილისწამების კამპანია უცხოეთის რეაქციონურ პრესაში

(საბჭოთა კავშირის საგარეო კომისარიატის პრესის განყოფილებისაგან)

თავისი სითავხედით ჯერ კიდევ გაუგონარი კამპანია სწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო რეაქციონური პრესის ფურცლებზე საკავშირო ტერიტორიაზე მომხდარ ამბების შესახებ, ყალბი ცნობების გავრცელების სახით. ეს კამპანია დაიწყო ჩვენი პარტიული დისკუსიის დროს და გაძლიერდა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ; მან ინგლისის მიერ ჩვენი ცნობის შემდეგ და ჯერ კიდევ ცნობის წინ მიიღო უმსგავსო ფორმები, რომლებიც მოგვაგონებენ ბლოკადისა და ინტერვენციის ყველაზე საშინელ წლებს.

ამ ყალბ ცნობების ცენტრს წარმოადგენენ უმთავრესად რიგა, რევილი, ჰელსინგფორსი, ნაწილობრივ სტოკჰოლმიც, სადაც სხედან თეთრგვარდიელების ექსპერტები, რომლებსაც ასე ეხერხებათ ყალბი ცნობების და ცილისწამების შეთხზვა, და აქედან კი სენსაციების მოყვარული რეიტერის სააგენტო და ინგლისის, ამერიკის და სხვა გაზეთების „საკუთარი კორესპონდენტები“ ავრცელებენ მთელი დედამიწის პირზე.

„პოსლედნია იზვესტია“, რომელსაც რუსი მონარქისტები სცემენ რიგაში, იუწყება წითელი არმიის აჯანყების შესახებ ციმბირში, ხარკოვში, მოსკოვში, აგრეთვე რკინისგზელების გაფიცვისა და მოსკოვთან კავშირის შეწყვეტის შესახებ ლონდონის გაზეთი „დეილი მეილ“, იმეორებს რა იმავე ცნობებს, იუწყება, რომ წითელი ჯარის ნაწილებში მოსკოვში მოხდა არეულობა და კონკრეტიულად მიუთითებს აჯანყებაზე „ლატიშების პოლკში“, რაც გამოწვეული იყო უკანასკნელის მიერ „თათართა დივიზიასთან“ შეერთებაზე უარის თქმით. „ტაიმს“-ი არ კმაყოფილდება ცნობებით წითელ არმიაში აჯანყების შესახებ და იუწყება არეულობისა და მღელვარების შესახებ, რომლებიც თანდათანობით ფართოვდებიან უკრაინაში, კავკასიაში, თურქესტანში, ციმბირში და ბელორუსიაში. ბლაგოვეშჩენსკში თითქო უკვე შეუქმნიათ დროებითი მთავრობა, კავკავში კი სწარმოებს ბრძოლა აჯანყებულებსა და საბჭოთა გარნიზონს შორის. „მორნინგ პოსტ“ ვრცლად ეხება ფაბრიკების უჯრედებში მომუშავე კომუნისტების დატუსაღებას და მოყავს რიცხვიც,—სახელდობრ, ოპოზიციის თვრამეტი წევრის გადასახლებას არხანგელსკში. იგივე გაზეთი იუწყება, რომ კრემლის ჩეკამ დაატუსაღა 4 უცნობი, რომლებიც შეიპარენ პოლიტბიუროს შენობაში და რომ ლენინგრადში და კრონშტადტში გაიგზავნენ ტყვიისმფრქვეველები სამხედრო ნაწილებით ბალტიის ფლოტის მეზღვაურთა მღელვარე სულიერი განწყობილების დასათრგუნავად.

ქვეყნის მეორე ნაწილში, ამერიკაში „ნიუ-იორკ ჰერალდი“ ბეჭდავს „სპეციალურ“ დეპეშას თავისი არარსებული კორესპონდენტისაგან მოსკოვში იმის შესახებ, რომ ომსკში ხალხი თავს დაესხა სახლს, რომელშიც ცხოვრობდენ კომუნისტები, ცეცხლი წაუკიდა სახლს და მოკლა 22 კომუნისტი, რომლებმაც გაქცევა დააპირეს. სტამბოლის პრესა, რომელიც იკვებება ინფორმაციით ინგლისური წყაროებიდან, იუწყება, რომ მოკლულია ტროცკი, რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტში ხდება ჩხუბი და რომ აუცილებლად მოხდება ხალხის აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. იგივე პრესა იუწყება, რომ „პეტროგრადისათვის ლენინგრადის დარქმევამ, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირის დარქმევამ და აგრეთვე უცხოეთის კაპიტალისტების გაწევამ ბოლშევიკების წინააღმდეგ ახალი გაბოროტება და პარტიის დაშლა გამოიწვია, რის გამო ბოლშევიკური ძალაუფლების დამხობა აუცილებელია“.

პეკინის გაზეთები აგრეთვე ბეჭდავენ რიგისა თუ სხვა ყალბ ცნობებს, რომლებსაც რეიტერი აწვდის მათ იმის შესახებ, რომ ოთხი პოლკი ტროცკის მეთაურობით მიდის მოსკოვზე, რომ ხარკოვში ხდება ბოლშევიკური აჯანყებები, რომ ლენინი მოკვდა ისე, რომ უკანასკნელათ გაიძახოდა: „**Бей жидов**“, მთელ რიგ სხვა საზიზღარ ცნობებს, რომლებიც უკვე მოთავსებული იყვენ ინგლისის პრესაში.

ზემოთმოყვანილი მხოლოდ ნიმუშია იმ „ინფორმაციის“, რომელსაც ახლა ნიაღვარივით ანთხევს მთელი ქვეყნის რეაქციონური პრესა. გაბოროტებული თეთრგვარდიელები, როგორც სჩანს, ანთხევენ თავისი შხამის უკანასკნელ ნაშთებს, ჩვენდამი მტრულათ განწყობილი პრესა და რეიტერის სატელეგრაფო აგენტურა კი ავრცელებენ მას იმ იმედით, რომ რაიმე გზით ხელი შეუშალონ ჩვენი ცნობის სასარგებლოდ მოძრაობის ზრდას და დააბრკოლებენ ინგლისთან ფინანსიურ-ეკონომიური ხასიათის მომავალ მოლაპარაკებას.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პრესის განყოფილება ზედმეტად სთვლის ყველა ამ ფანტასტიური ცნობების უარყოფაზე ვრცლად შეჩერებას. ჩვენი საკუთარი საზოგადოება და ჩვენს შორის მცხოვრები უცხოელები მხოლოდ ზიზღით გაიცინებენ მათი წაკითხვის დროს: მათ კარგად იციან, რომ არასოდეს არ ყოფილა ხალხი, ჩვენი პარტია და ჩვენი ხელისუფლება ასე მჭიდროთ შეკავშირებული, ასე სერიოზული ყურადღებით გამსჭვალული ეკონომიური და პოლიტიკური მშენებლობის საკითხებისადმი, ასე მტკიცე რწმენით გამსჭვალული თავის თავისადმი, როგორც ეხლა. მაგრამ აღსანიშნავია შემდეგი: ჩვენს მთავრობას შეუწყვეტლად აბრალებენ, რომ ის არღვევს საერთაშორისო ჩვეულებებს და მეგობრული თანაცხოვრების ნორმებს პროპაგანდით სხვა ქვეყნებში. თვით ინგლისის მუშათა მთავრობამ თავის ნოტაში ცნობის შესახებ ვერ დაიჭირა თავი გაკვრით ამის აღნიშვნისაგან და გამოსთქვა იმედი, რომ მომავალში ჩვენ შევწყვეტთ მას. მეგობრები და მტრები ამაზე ლაპარაკის დროს ხელმძღვანელობენ იმ მოსაზრებით, რომ ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფება მესამე ინტერნაციონალის აღმასკომი და მის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებენ ზოგიერთი გამოჩენილი პარტიული ბელადები. ამაოთ აღვინიშნავს ჩვენ მრავალჯერ, რომ ეს პარტიული ამხანაგები არ არიან ჩვენი მთავრობის წევრები და რომ კომინტერნის არსებობა ჩვენს ტერიტორიაზე არის ძალაუნებური იმ გარემოების გამო, რომ სხვა მთავრობები უარს ეუბნებიან მას თავშესაფარზე. ამავე დროს კი ჩვენდამი მეგობრულათ განწყობილი მთავრობები მოსაზღვრე სახელმწიფოებისა ითმენენ თავის ტერიტორიაზე რუს თეთრგვარდიელების საშინელ მოღვაწეობას. ეს თეთრგვარდიელები აწარმოებენ ჩვენდამი მტრულ პროპაგანდას, რომელიც მრავალჯერ სჭარბობს თავისი სიდიდით და ინტენსივობით ყოველგვარი ორგანიზაციების მოღვაწეობას, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე არსებობენ. ამ ფაქტზე საჭიროა მითითება, როგორც იმ „ორმაგი ბუჰღალტერიის“ ილიუსტრაციაზე, რომელსაც აწარმოებენ უცხოეთის ზოგიერთი მთავრობები ჩვენთან ანგარიშების გასასწორებლათ და რომელიც თანდათანობით მომაბეზრებელი ხდება.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

ინგლისის მრეწველებმა რუსეთში დაიკვეთეს ბელორუსიის დიდძალი ფანერი.

ამ დღეებში იტალიაში გაიგზავნება დიდი პარტია ხე-ტყის მასალისა.

ჩინეთი: საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, მთავრობა აპირებს საბჭოთა კავშირის ცნობას.

რუმინეთი: მთავრობის ოფიციოზი იტყობინება, რომ რიკოვის დეკლარაციამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა რუმინეთში.

ინგლისში

რუსეთ-ბრიტანეთის მომავალ კონფერენციისათვის.

ლონდონი. 19 თებერვალი. დღეს თემთა პალატაში მაკდონალდმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობასთან ერთად გადაწყვეტილია, რომ საექსპორტო კრედიტის საკითხი უნდა იქნას განხილული ბრიტანეთის და რუსეთის წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელიც ახლო მომავალში შეიკრიბება ლონდონში.

მოთხოვნილება ბელორუსიის ფანერაზე.

მოსკოვი. 19 თებერვალი. ინგლისიდან მიღებულია მოთხოვნილება ფანერაზე.

შვეიცარიაში

„შვეიცარიის მთავრობის დამცირება“.

პარიზი. 18 თებერვალი. ბაზელის გაზეთი „ფორვერტს“-ი აცხადებს, რომ ერთა ლიგის საზღვაო კომისიის ჟენევიდან რომში გადაყვანა, საბჭოთა კავშირის პროტესტის გამო, შვეიცარიის მთავრობის დამცირებად უნდა ჩაითვალოს.

იტალიაში

რუსეთის ხე-ტყის მასალის ექსპორტი.

მოსკოვი. 19 თებერვალი. სატყეო მასალის დამამზადებელი სამმართველო ახლო მომავალში აწყობს ხე-ტყის ექსპორტს იტალიაში.

საბჭოთა კავშირი ხელოვნებათა გამოფენაზე ვენეციაში.

მოსკოვი. 20 თებერვალი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიიღოს ხელოვნებათა გამოფენაზე ვენეციაში. გამოფენაზე გაგზავნილი იქნება, უმთავრესათ შინამრეწველობის ნაწარმოებები იტალიის ბაზარზე გასასაღებლათ.

პოლონეთში

პოლონეთის საელჩო მინსკში.

მინსკი. 19 თებერვალი. მინსკში გაიხსნა პოლონეთის საელჩო.

გერმანიაში

გერმანიის ფირმების შეკვეთები.

მოსკოვი. 20 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას გერმანიაში გერმანიის მსხვილ ფირმებისაგან მოსდის მასიური შეკვეთები ტრანზიტის პირობების შესახებ სპარსეთში და ჩინეთში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გავლით.

საფრანგეთში

ბუნებრივი შედეგი.

მოსკოვი. 20 თებერვალი. საფრანგეთის მტრული დამოკიდებულების გამო საბჭოთა კავშირისადმი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გააუქმა რამდენიმე ხნის წინათ საფრანგეთის ერთერთ მსხვილ ფირმისათვის მიცემული ნებართვა საბჭოთა კავშირში 50.000 კილოგრამ სალებავების შემოტანის შესახებ და გადასცა ეს ნებართვა გერმანიის ფირმას.

ამერიკაში.

რატომ ამერიკამ არ იცნო დღემდე საბჭოთა კავშირი?

ნიუ-იორკი. 18 თებერვალი. გაზეთი „ნიუ-იორკ ამერიკენ“-ი სწერს: „ვაშინგტონში მომხდარი გამომჟღავნება ნათელჰყოფს იმას, თუ რატომ არ იცნო ამერიკამ საბჭოთა კავშირი. ნავთის პანამა მოწმობს ამერიკის მთავრობის უმწეო მდგომარეობას, რომელიც სავსებით დამოკიდებულია მსხვილი მრეწველების მტაცებლობისაგან. უნაყოფოა იმის მოთხოვნა, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ინიშნებოდენ პატიოსანი ადამიანები, ვინაიდან არავის არ შეუძლია თავდებობა ამა თუ იმ პირის პატიოსნებისათვის. ერთად-ერთი საშუალება იმ პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც უსინდისოდ ხდიან ადამიანებს,—ეს არის ყოველგვარი კონტაქტის მოსპობა მთავრობასა და მსხვილ მრეწველებს შორის“.

გაზეთი ურჩევს მთავრობას თავის ხელში ჩაიგდოს ნავთის სამრეწველოები და ნახშირის მაღაროები, რათა ბოლო მოეღოს მოსყიდვის სისტემას, რომლის გამო ამერიკა, რომელსაც პირველად უნდა ეცნო საბჭოთა კავშირი ყველაზე უკან რჩება.

ჩინეთში.

საზოგადოებრივი აზრი ემხრობა საბჭოთა კავშირის ცნობას.

პეკინი. 18 თებერ. პეკინის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორები და მასწავლებლები წერილში, რომელიც მიმართულია გარეშე საქმეთა სამინისტროსადმი, მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ და აუცილებელ ცნობას. არის საბუთი ვიფიქროთ, რომ პეკინის მთავრობა საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, იცნობს საბჭოთა კავშირის მთავრობას.

იაპონიაში

დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს.

პეკინი. 18 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პეკინში კარახანმა იაპონიის კორესპონდენტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იაპონიის მთელი ყურადღება მიქცეულია შინაურ მდგომარეობისაკენ, რომელიც იძლევა საფრთხეების შესაძლებლობას. ამიტომ ის არ ჩქარობს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხის მოგვარებას. ამავე დროს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში კიდევ უფრო განმტკიცდა და ამას შედეგად მოჰყვა ჩვენი ცნობა ინგლისის და იტალიის მიერ.

იაპონიის მთავრობას ზედმეტად მიაჩნია ჩვენი ცნობის დაჩქარება. ჩვენც დამშვიდებულად დაველოდით—ღრმად დარწმუნებულნი იმაში, რომ დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს.

რუმინეთში.

მეგობრული შეთანხმების წინ.

ვენა. 18 თებ. რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა დუკამ გააკეთა მინისტრთა საბჭოში მოხსენება ვენის კონფერენციის შესახებ და მოითხოვა დელეგაციის წევრების დანიშვნა. დელეგაციის სრული შემადგენლობა ჯერ არ არის გამორკვეული. ბუქარესტის პრესის ნაწილი აცხადებს, რომ რუმინეთის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან განირჩევა სხვა სახელმწიფოების დამოკიდებულებისაგან. ინგლისის, იტალიის, ჩეხო-სლოვაკიის და ნაწილობრივ პოლონეთის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ატარებს უმეტესად ეკონომიურ ხასიათს. საბჭოთა კავშირის და რუმინეთის ურთიერთობას კი აქვს პოლიტიკური და სამხედრო ხასიათი, რის გამოც საბჭოთა კავშირი ვენის კონფერენციაზე გამოვა პირველად ომის შემდეგ, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ფაქტორი. როგორც კი საბჭოთა მთავრობა დააკმაყოფილებს რუმინეთის მინიმალურ მოთხოვნილებებს პოლიტიკურ და ტერიტორიალურ „სტატუს ქვო“-ს შესახებ, დაუყოვნებლივ მიღწეული იქნება მეგობრული შეთანხმება. თუ საბჭოთა დელეგაცია აღძრავს საკითხს ტერიტორიალურ ცვლილებების შესახებ რუმინეთი იძულებული იქნება უარჰყოს შეთანხმება.

საკითხს რუმინეთის იმ ოქროს მარაგის შესახებ, რომელიც ერთ დროს გატანილ იქნა რუმინეთიდან მოსკოვში, აქვს ამჟამად თეორეტიული მნიშვნელობა და ეს არ წარმოადგენს დაბრკოლებას მოლაპარაკების სასურველად დამთავრებისათვის.

რიკოვის დეკლარაციისდგამო, მთავრობის ორგანო „ადევერულ“ აცხადებს, რომ **რუმინეთს კმაყოფილებას გვრის საბჭოთა კავშირის მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარეობა** და სწამს, რომ ვენის მოლაპარაკება გამოიღებს ნაყოფიერ შედეგებს; გაზეთი აცხადებს, რომ ორივე ერს მრავალი წლის მეზობლობის განმავლობაში ერთხელაც არ ჰქონია შეიარაღებული შეტაკება.

მდგომარეობა ინგლისში

გაფიცვა ფართოვდება.

ლონდონი. 18 თებერ. **გემების სადგმშენებლო სახელოსნოების მუშების გაფიცვაში მონაწილეობას იღებენ ინგლისის ყველა ნავთსადგურების მუშები—სულ 120,000 ტრანსპორტელი.**

რკინისგზელთა ეროვნულ კავშირმა უბრძანა თავის წევრებს, რომელნიც პროფესიის მიხედვით დოკერებათ ითვლებიან, შეუერთდენ გაფიცვას, კავშირის დანარჩენ წევრებს კი უბრძანა უარი სთქვან ბარგის გადაზიდვაზე. **მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მოუმატონ შრომის ხელფასი 1 შილინგით დღეში ყველა იმ მუშებს, რომელნიც** განაახლებენ მუშაობას. ამის გამო ტრანსპორტელთა კავშირის მდივანმა დეველიმ განაცხადა, რომ ყველა ის, ვინც დათანხმდება ამ შილინგზე, გახდება მუშათა კლასის იუდათ.

ტრანსპორტელთა მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ მაკდონალდმა დაუყოვნებლივ გამოიყენოს საგანგებო უფლებები და დააწესოს მუშების სრული კონტროლი ნავსადგურებსა და გემების სადგმშენებლო სახელოსნოებზე; რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე შრომის ხელფასის გადიდებას, სანამ მწარმოებლებსა და კავშირს შორის მიღწეული არ იქნება შეთანხმება.

რა ხდება გერმანიაში

მელითონეთა კონგრესი.

ბერლინი. 18 თებერ. მუშა-მელითონეების კონგრესზე კასელში დიტმანმა წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა, რომელშიაც შეეხო ლენინის გარდაცვალებას და აღნიშნა, რომ ლენინმა თავისი მუშაობით გააერთიანა საერთაშორისო პროლეტარიატი. კონგრესმა ფეხზე ადგომით მოისმინა სიტყვა.

კასელის ბურგომისტრის შეიდემანის მიერ კონგრესის მისალმების დროს ოპოზიციამ პროტესტის ნიშნად დასტოვა დარბაზი.

შტრეზემანის მოხსენება ექსპერტთა კომისიის პროექტის შესახებ.

ბერლინი. 18 თებერვალი. რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე შტრეზემანმა გააკეთა მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა კომისიის აზრით, ცენტრალურ საბანკნოტო ბანკის ორგანიზაციას წინ უნდა უსწრობდეს გერმანიის რკინისგზების ქსელის და რეინის და რურის ოლქებში გერმანიის მართვა-გამგეობის აღდგენა. დიუსელდორფის შეთანხმება ინჟინერთა მოკავშირეთაშორისო კომისიასთან მიუღებელია და უნდა გაუქმდეს 15 აპრილამდე.

ხაზი გაუსვა რა, საფრანგეთის მთავრობის პოზიციის სასურველად შეცვლას, შტრეზემანმა განაცხადა, რომ ეს კიდევ არ იძლევა საბაბს ვიქონიოთ უშუალო შეთანხმების იმედი და გამოსთქვა რწმენა, რომ შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ ინგლისის საშუალებით. ბოლოს შტრეზემანმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრულ დამოკიდებულების შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე საკითხი ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

ნდობა კომუნისტებისადმი.

ბერლინი. 18 თებერვალი. კელნში ტანთსაცმელების დამამზადებელ მუშების და ფეიქართა ადგილობრივ განყოფილებათა გამგეობის არჩევნებში გავიდენ კომუნისტები. მელითონეთა კავშირების ადგილობრივ გამგეობაში გელზენკირხენსა, ბოხუმსა, ობერჰაუზენში, სამთომადნო მუშათა კავშირის გამგეობაში—ესსენსა, შტოლბერგსა და როტჰაუზენში და ხის დამამუშავებელთა კავშირის გამგეობაში ესსენსა და დორტმუნდში გავიდენ აგრეთვე ყველა კომუნისტები.

ნახშირის მრეწველობის მუშათა გაფიცვა.

ბერლინი, 18 თებერვალი. ნახშირის მრეწველობის მუშათა გაფიცვა დროებითი გრძელდება. იმ მოხალისეებს, რომლებიც სამუშაოზე მიდიოდენ პოლიციის თანხლებით, ესროლეს რამდენიმე ყუმბარა.

მენშევიკების განცხადება

ჩვენ წავიკითხეთ სეით დევდარიანის წერილები, „საბოლოო სიტყვა“, და ვფიქრობთ, ვგრძნობთ, რომ ეს არის დღეს საქართველოსთვის ერთად-ერთი გამოსავალი. მეტად სამწუხაროა, რომ ასე დაგვიანებით მიგვითითა ამაზე სეით დევდარიანმა. კარგ მებრძოლს უნდა შეეძლოს ტაქტიკის გამოცვლა 24 საათის განმავლობაში. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით კი, სამი წელიწადია ტარდება ისეთი ტაქტიკა, რომელიც სრულიად არ ეგუება ცვალებად საერთაშორისო პირობებს.

თვითეულ ჩვენგანს აქამდის მართლა შესისხლხორცებული ჰქონდა ის აზრი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველი ერის წინსვლა შეუძლებელია, თუ არ ჩამოვარდა ახლანდელი მთავრობა. თუ ჩამოვარდნა არ მოხდება მშვიდობიანად, უმტკივნელად, ეს უნდა მოხდეს ძალით და... გასაგებია ყველაფერი, რასაც მოგვითხრობენ აქ დაგროვილი მასალები, ბუნებრივია ამ აზრით ხაზი გარეშე ინტერვენციის მზადებიდან შინაურ ანარქიამდის,—ხიდების აფეთქებამდის და მატარებლის ძარცვამდის. ძალიან დამაფიქრებელია, რომ ვერც ერთი დავალება ამ ხაზზე ვერ მოყვანილა სისრულეში. ალბათ ეს ხაზი უნიადაგოა და არ ეკარება ხალხის გულს და მისი შედეგია მხოლოდ გაუმართლებელი მსხვერპლი.

დროა შევიგნოთ, რომ რუსეთი გამოსულია საშინაო და საგარეო ომიდან, ინელებს ეკონომიურ გაჭირვებას და მიდის წინ. ახლა ისე გრძნობს თავს, რომ შარშან და შარშანწინდელსავით აღარ სჭირდება იურიდიულად ცნობა. აქამდის ბევრ რამეს დაათმობინებდნენ ამ ცნობისთვის. დღეს კი იმდენად მოღონიერებულია ის, რომ არაფერს არ დაუთმობს. ახლა რაც უფრო დააგვიანებს ევროპა რუსეთის ცნობას, მით უფრო მეტს დაუთმობს ის თითონ რუსეთს. არასოდეს არ შეთანხმდებიან ევროპის სახელმწიფოები რუსეთის დანაწილების საკითხში. შეუძლებელია ევროპის გამოლაშქრება რუსეთზე ამ მიზნით, შესაძლებელიც რომ იყოს!, არც ერთი მუშა, არც ერთი სოციალისტური პარტია ევროპაში მხარს არ დაუჭერს ამნაირ გამოლაშქრებას. ჩვენ რომ ინტერვენციის და ომების გზით ვიაროთ საქართველოს საკითხის გადასაჭრელად, თვითეულ ჩვენთაგანს თოფის მიმიზნება დასჭირდება მუშების და სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ.

ეს იქნება გზა საერთაშორისო რეაქციისაკენ. ვისაც საქართველო უყვარს და არ გაუწყვეტია კავშირი სოციალიზმთან, ის ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ამ გზაზე.

ნუ თუ ძნელი გასაგებია ვინმესთვის, რომ საქართველოს არ შეუძლია აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ? ნუ თუ დიდი გამჭრიახობა საჭიროა იმის გასათვალისწინებლად, რომ აჯანყებით ჩვენ ვერ ჩავიგდებთ ხელში ძალაუფლებას და რომც ჩავიგდოთ, ვერ შევირჩენთ? ნუ თუ ვერ იგრძნობს თითეული მუშა, თითეული გლეხი, რომ ინტერვენციის და აჯანყების გზით საქართველოს მოელის უნაყოფო სისხლისღვრა, შეუშრობელი ცრემლი და სამუდამო დასამარება ეროვნული დამოუკიდებლობისა.

მტერია ქართველი ერის ის, ვისაც ეს ვერ გაუგია, ვინც ამას ვერ გრძნობს.

საქართველოს ეროვნული ჩამოყალიბება ხდება საბჭოთა კავშირის ფარგლებში. აქ უნდა ვიყოთ ჩვენ და ვაკეთოთ რისი გაკეთებაც შეიძლება ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღორძინებისათვის. ამით მეტი გაკეთდება და უფრო მტკიცე საძირკველი ჩაეყრება ეროვნულ დამოუკიდებლობას მხოლოდ მაშინ, როცა გაიმარჯვებს მსოფლიო რევოლიუცია, როცა ევროპაში დამყარდება მუშათა კლასის დიქტატურა.

ყოფილ მენშევიკების ყრილობამ ხელში აიღო შარშანდელ ყრილობაზე ეს დროშა, დროშა მუშათა კლასის დიქტატურისა და მსოფლიო რევოლიუციის. ჩვენ ვდგებით ამ დროშის ქვეშ და გვწამს, რომ ეს ჩვენი ნაბიჯი ერთად ერთია საქართველოს ინტერესებისათვის, მშრომელი ხალხისთვის; ჩვენ გვწამს, რომ ჩვენთან ერთად იქნება სეით დევდარიანი, როგორც ვკითხულობთ იმის საბოლოო სიტყვაში.

მისი მოწოდება არ არის ვიწრო, პარტიული ხასიათის, ის არის საყოველთაო, ეროვნული. ჩვენ დარჩენილი პოლიტიკური ტუსაღები ურთდებით სავსებით მას და ფიცსა ვდებთ ქართველი მუშის, გლეხის, მთელი ერის წინაშე, რომ სამუდამოთ ზურგს შევაქცევთ იმ გზას, რომელსაც საშინელი საფრთხისაკენ, უფსკრულისაკენ მიჰყავს საქართველო, კავშირს ვსწყვეტთ საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიასთან, რომელიც კიდევ აპირებს ძველი გზით სვლას. მივმართავთ ყველას, ვისაც კი გული უძგერს საქართველოსათვის, დაგმონ ეს გზა, შეგვიერთდენ ჩვენ. ეროვნულ ინტერესებზე მაღლა ნუ დააყენებენ პარტიულ, ჯგუფურ და პირად თავმოყვარეობას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! გაუმარჯოს 3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს! გაუმარჯოს კომუნიზმს!

1. კალენიკე გიორგის ძე ქავთარაძე—პარტიის წევრი—1907 წ. 2. ნიკოლოზ იაგორის ძე შახნაზაროვი ძველი მუშა—1902 წ 3. ილია ზაქარიას ძე მაისურაძე—ძველი მუშა—1896 წ. 4. მიხეილ ვლადიმერის ძე გძელიევი—1918 წ. 5. ბაგრატ ლუარსაბის ძე ბიბილური—1902 წ. 6. არჩილ დიმიტრის ძე წერეთელი—1917 წ. 7. დიმიტრი [illegible] ძე ქოჩლაძე—1905 წ. 8. არკადი იესეს ძე ხუნდაძე—1916 წ. 9. ნიკოლოზ გიორგის ძე ქურთაული—1923 წ. 10. გრიგოლ დიმიტრისძე თავყელიშვილი—1892 წ. 11. ვასილ ალექსანდრე ელიოზაშვილი (ს.-ფ.) 1919 12. რეზო ბენჯამინისძე ჩხეიძე—1905 წ. 13. ვასო სიმონისძე დოიჯაშვილი—1923 წ. 14. გიორგი ლაზარისძე ყაუთაშვილი 1922 წ. 15. სვიმონ მიხეილის ძე ბასილაშვილი, 16. ანნა გრიგოლის ასული პარკაძე—1905 წ., 17. სარდიონ ესტატესძე არავიაშვილი—1923 წ., 18. ქეთევან ქრისტეფორეს ასული საკოვისა—1904 წ., 19. მიხეილ ნიკოლ. ძე ბრობელი—1920 წ., 20. ევგენი ილარიონის ძე ურუშაძე—1912 წ., 21. პეტრე კონდრატის ძე მანჯგალაძე—1913 წლიდან, 22. ზაქარია გიორგის ძე ჯავახიშვილი—1903 წლიდან, 23. მამია ილარიონის ძე ჯაში—1917 წ., 24 კალისტრ. პავლეს ძე ტორონჯაძე—1917 წ., 25. ნესტორ სამსონისძე საბაშვილი—1917 წ., 26. ნიკოლოზ ივანეს ძე ერგებლიძე—1900 წ., 27. მიხეილ ვახტან. ძე კალანდაძე—1892 წ., 28. არ. დ. კაკულია—1919 წ., 29) დავით მალხაზის ძე დარასელია—1917 წ., 30) ელენე ერასტის ასული მაისურაძე—1917 წ., 31) ელ. ალექსის ასული ქერეჟაშვილისა 1917 წ., 32) ანნა ელიზბარის ასული გვასალია—1912 წ., 33) ნინო სამსონის ასული საბაშვილი—თანამგრძნობი, 34) მაშო ანდრიას ასული კახიანი—1900 წ., 35) თამარ ალექსანდრეს ასული ლალიაშვილი თანამგრძნობი—1919 წ., 36) თამარა მიხეილის ასული ადამია სოციალ-ფედ. 1917 წ., 37) ივანე გერასიმეს ძე ქეიშვილი—1915 წ. 38) დავით ალექსანდრეს ძე ბორისოვი—1915 წ.

ყველა ზემოჩამოთვლილნი სეით დევდარიანთან ერთად განთავისუფლებულნი არიან.

საფრანგეთის ამბები

სოციალისტური პარტიის კონგრესი.

პარიზი. 18 თებერვალი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესმა, რომელიც გაიმართა ადმირალ ჟორესის თავმჯდომარეობით, დაადგინა მიიღოს მონაწილეობა მემარცხენე პარტიების ბლოკში მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

პარიზი. 18 თებერვალი. ძლიერდება მუშების გაფიცვა ფეხსაცმელების მრეწველობაში. გაფიცულია 8,000 კაცი.

მუშების გაფიცვა ავტომობილების წარმოებებში.

პარიზი. 18 თებერვალი. „სიტროენ“-ის ავტომობილების წარმოებათა გაფიცულმა მუშებმა დაადგინეს განაახლონ მუშაობა იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება 8 საათის სამუშაო დღე, გადიდებული იქნება სამუშაოს ხელფასი 10 დან 30 პროცენტამდე და მწარმოებლები იცნობენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს.

წითელი რადიოდეპეშები

რუსეთი.

შეღავათიანი ტარიფი ნავთის გადაზიდვისათვის.

მოსკოვი, 20 თებერვალი. სატარიფო კომიტეტის კომისიამ, ნავთის სინდიკატის შუამდგომლობის თანახმათ, რათა აღდგენილი იქნეს ომამდის არსებული ზოგიერთი შეღავათიანი ტარიფები საექსპორტო ნავთის და მაზუთის გადაზიდვისათვის, შესაძლებლათ დაინახა დააწესოს შეღავათიანი ტარიფი, არსებულ ტარიფზე 30 პროც. დაკლებით, ნავთის გადაზიდვისათვის სად. გროზნიდან, ნოვოროსისკიდან და ოდესიდან, რკინისგზის ყველა სადგურებამდე.

საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის მიწვევა.

მოსკოვი. 20 თებერვალი. საერთაშორისო კოოპერატიულმა ალიანსმა მიიწვია საბჭოთა კავშირის კოოპერატიული ცენტრები ალიანსის ცეკას სხდომაზე, რომელიც გაიმართება 21 მარტს პრაგაში. მიწვეულთა შორის არის საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული გაერთიანება.

იტალიის ახალი ელჩი მოსკოვში.

მოსკოვი 20 თებ. მოსკოვში ჩამოსული იტალიის ახალი ელჩი მანცონი ეწვია ამხ. ჩიჩერინს და ლიტვინოვს.

რუსეთ-იტალიის სავაჭრო პალატის პროექტი.

მოსკოვი, 20 თებერვალი. მოეწყო საინიციატივო კომიტეტი მოსკოვში რუსეთ-იტალიის სავაჭრო პალატის დასაარსებლად. პალატის წესდება ხელმოწერილია იტალიის რწმუნებულის პატერნოს და ჩვენი მხრით—ამხ. კრასინის და სხვა სამეურნეო დარგის მუშაკების მიერ. სავაჭრო პალატის ამოცანას შეადგენს ყოველმხრივი დახმარება იტალიის და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ დაახლოვებისათვის.

ლენინის გარდაცვალების გამო

ლენინის საფლავის ნახვა

მოსკოვი, 19 თებერვალი. ამხ. ლენინის საფლავის ნახვა ყველა მოქალაქეთათვის დაიწყება 2 მარტიდან

ძეგლის ნაცვლად სანატორიუმი მუშებისათვის.

რიაზანი. 19 თებერვალი. საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ლენინის ძეგლის ნაცვლად რიაზანში ააშენოს ლენინის სახელობის სანატორიუმი მუშებისთვის.

სკოლა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

ვლადიმირი. 19 თებერვალი. სოფელ სერგის „გორკის“ გლეხებმა (გოროხოვის მაზრა) დაადგინეს გახსნილ იქნას სოფელში ლენინის სახელობის მეორე საფეხურის სკოლა.

ინტელიგენცია და საბჭოთა ხელისუფლება

გ. წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია და ჩვენი სინამდვილე *)

წინა წერილში ჩვენ განვიხილეთ რეაქციონური,—მსხვილი მრეწველობისა და ფეოდალების ინტერესების დამცველ ინტელიგენციის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი და მათი დღევანდელი მდგომარეობა. მეორე მხრით გამოვარკვიეთ როლი რევოლიუციონური მოძრაობის პროცესში იმ რევოლიუციონური ინტელიგენციისა, რომელიც პროლეტარიატთან ერთად აღიზარდა ერთს ოჯახში და სავსებით დაიმორჩილა მის დირექტივებს.

ამ ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო ინტელიგენტთა წრეების გარდა არსებობს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომლის როლსა და პოლიტიკური ფიზიონომიის გამოკვლევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან ასეთ ინტელიგენციის რიცხვი მეტად დიდი არის საბჭოთა რესპუბლიკების სინამდვილეში. განსაკუთრებით საინტერესოა წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის შესწავლა საქართველოს სინამდვილისათვის, სადაც იგი მეტად დიდ როლს თამაშობდა და რამოდენიმეთ დღესაც თამაშობს მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაში.

პოლიტიკურად ეს ინტელიგენცია გამომხატველია იმ სოციალური კლასის სულისკვეთებისა და აღზრდილია იმ წრეებში, რომელსაც სოციალისტური აზროვნება წვრილბურჟუაზიულ კლასს უწოდებს. თავისი ეკონომიური მდგომარეობით ეს კლასი სდგას პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის; მკაცრი ეკონომიური კრიზისები და კაპიტალისტური მაგნატების დაუნდობელი სამეურნეო პოლიტიკა ამ წვრილბურჟუაზიულ კლასის ზოგიერთ წრეებს ხშირად ერეკება პროლეტარიატისაკენ და დაჰყავს იგი პროლეტარიატის მდგომარეობამდე. ამის შესახებ მარქს-ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტში“ სწერდენ: „იმ ქვეყანაში, სადაც თანამედროვე ცივილიზაცია განვითარდა, წარმოიშვა და, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების დამატებითი ნაწილი, მუდამ ახლად იბადება ახალი წვრილბურჟუაზიული კლასი, რომელიც **პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ირყევა და ქანაობს**“. (იხ. „კომ. მან.“ გვ. 91).

წვრილბურჟუაზიული კლასის ეს ეკონომიურად მერყევი და არა მტკიცე მდგომარეობა საზღვრავს მის პოლიტიკურ შეგნებასა და ფიზიონომიასაც. ინტელიგენცია, რომელიც აღიზარდა ამ მოქანავე კლასის წიაღში და რომელიც გამოხატავს მის სულიერ ვითარებას, თან ატარებს მის უარყოფით თვისებებსაც. ეს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია პოლიტიკურად ბეცია და შორს მჭვრეტელობას მოკლებული. მას არ აქვს გარკვეული კლასიური შეგნება და არც პროგრამა. ამიტომ იგი შეუჩერებლივ ქანაობს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის და საითაც მეტ სარგებლობას ხედავს, იქით იხრება მისი სასწორიც. ობიექტიურ პირობების გამო ეს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე, რეაქციის ხანაში, განსაკუთრებით მისდევდა სოციალისტურ პარტიებს და ავსებდა მათ რიგებს. ასეთს პირობებში იგი სიტყვიერად სოციალისტი და რევოლიუციონერი გამოდიოდა და მოუთმენლად მოელოდა ცარიზმის დამხობას, მაგრამ რევოლიუციის პირველ პერიოდში, როდესაც საბჭოთა წყობილება მეტად დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა და ყოველის მხრით ალყაშემორტყმული იყო შავი ძალებით, ამ ინტელიგენტურმა მასამ ზურგი შეაქცია რევოლიუციას და ბურჟუაზიასთან ერთად ებრძოდა ახალ ხელისუფლებას. მენშევიკ-ესერების პარტიები, ანტანტის კარნახით, გამოვიდენ ამ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის ხელმძღვანელებად და ისინი ენერგიულად მიუძღოდენ კონტრრევოლიუციონურ ელემენტებს საბჭოთა ხელისუფლების გასანადგურებლად. ასეთ პირობებში ამ წვრილბურჟუაზიულმა ძალებმა საკმაოდ მოზრდილი როლი ითამაშეს რევოლიუციის პროცესში შავი რეაქციის სასარგებლოდ და პროლეტარიატს, ზურგიდან მახვილის ჩაცემით, უძნელებდენ საამშენებლო მუშაობას.

მაგრამ ყოველივეს თავისი დასასრული აქვს. რუსეთში შექმნილი გარემოება და გამეფებული კრიზისები აღმოფხვრის გზას დაადგა. სამოქალაქო ომის მოსპობის შემდეგ ახალი ხანა დაიწყო საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში, რომელიც უფრო სამეურნეო აღმშენებლობით ხასიათდება. სამოქალაქო ომის დროს დარღვეული მეურნეობა აღდგენის პროცესში იმყოფება და ცხოვრების პირობებიც საგრძნობლად გამოიცვალა. პროლეტარიატის ხელისუფლება პოლიტიკურადაც განმტკიცდა და მან როგორც საშინაო ფრონტზე, ისე საგარეო ურთიერთობაში საგრძნობ გამარჯვებებს მიაღწია. დიდი კაპიტალისტური სახელმწიფონი იძულებულნი შეიქმნენ ეცნოთ საბჭოთა მთავრობა როგორც ერთადერთი ხელისუფალი მთელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მეორეს მხრით ობიექტიურ გარემოებათა მსვლელობამ ფაქტიურად დაშალა და გაბრწყნა დემოკრატიული პარტიების მენშევიკები, ესერები, რომელთა დამღუპველი პოლიტიკის შედეგები ცხადი შეიქმნა ფართო მშრომელი მასებისათვის. ამ დემოკრატიულ პარტიების დარღვევით წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას ხელიდან გამოეცალა ერთი უკანასკნელი დასაყრდენი ძალა, პროლეტარიატის წინააღმდეგ მებრძოლი.

ცხოვრების ამ საერთო ცვლილებებმა გამოიწვიეს წვრილ ინტელიგენციაში აზროვნების ხეტიალი და მერყეობა. ეს ინტელიგენცია ბუნებით ოპორტიუნისტია. ის ადვილად ეგება არსებულ წყობილებას, თუ კი უკანასკნელი რამოდენიმედ მაინც შესძლებს მათი პირობების გაუმჯობესებას. **სოციალური უძლურება და პოლიტიკური ოპორტიუნიზმი,** შეგუება არის ის მთავარი ფაქტორები, რომელნიც ხელს უწყობენ საბჭოთა ხელისუფლებას დაიპყრას საზოგადოებრივი ცხოვრების ეს მეტად მნიშვნელოვანი ელემენტი. წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ზოგიერთი წრეები შეურიგდენ პროლეტარიატის ბატონობას და დღეს რუსეთში ინტელიგენციის ფართო მასები საბჭოთა მშენებლობის პროცესში საკმაოთ აქტიურს როლს თამაშობს.

„კომუნისტური რევოლიუცია არის არსებული ქონებრივი ურთიერთობის ყველაზე უფრო რადიკალური უარყოფა. და რაღა გასაკვირველია, თუ თავის განვითარების მსვლელობაში იგი ყველაზე უფრო რადიკალურად არღვევს ტრადიციულ იდეებს“,—ამბობს „კომუნისტური მანიფესტი“. პროლეტარულმა მოძრაობამ, ძველი ქონებრივ ურთიერთობის დარღვევითა და ახალი სამეურნეო პირობების შექმნით, რადიკალურად დაარღვია წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის ტრადიციული აზროვნება და პოლიტიკა და დაუმორჩილა ეს ელემენტები თავის დიქტატურას. ეს არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების საქმეში.

კერძოდ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში დიდი ადგილი ეჭირა და დღესაც უპირატესად ინტელიგენციას. რევოლიუციამდე ფაქტიურად იგი უძღვებოდა საქართველოს ცხოვრების ვითარებასა და აძლევდა შინაარსს ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგს. სწავლა-განათლების საქმე, გამომცემლობა, პრესა, თეატრი, საერთოდ კულტურის მთავარი დარგები თავმოყრილი იყო ინტელიგენციის ხელში; დაწესებულებები და კოოპერატიული ორგანიზაციები ჩვენი ინტელიგენციის თავშესაფარი შეიქმნა. ისტორიულად ჩვენში ინტელიგენცია გახდა ფეოდალური არისტოკრატიის მემკვიდრე. ამ ინტელიგენციის მთავარ ამოცანას შეადგენდა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება, ცარიზმის ბატონობის დამხობა და დემოკრატიული წყობილების განმტკიცება. ამიტომ იგი „რევოლიუციონურად“ იყო განწყობილი და ჩვენი ინტელიგენციის დიდი უმეტესობა სოციალისტურ პარტიებს მისდევდა და მათ უჭერდა მხარს—მენშევიკებმა ეს იდეალები გაუნაღდეს ჩვენს ინტელიგენციას, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ცხოვრების მოწესრიგება და ინტელიგენციაშიც უკმაყოფილების გრძნობები დაიბადა.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ სოციალური კლასების რადიკალური გადაჯგუფება მოახდინა და ჩვენი ცხოვრების მესაჭე ფართო მშრომელი მასები—პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა შეიქმნა კომპარტიის მეთაურობით. როგორ შეიცვალა ფსიხიკა და როლი ჩვენი ინტელიგენციისა ამ დიდ ცვლილებასთან ერთად?

რასაკვირველია, მშრომელი ხალხის დიქტატურას ასე ადვილად ვერ შეეგუებოდა ინტელიგენციის წრეები, რადგან მან დაჰკარგა ხელმძღვანელობის უფლება კულტურულ ცხოვრების დარგებზე და იძულებული შეიქნა ცხოვრების სათავეში ამოსულ ჯანსაღ კლასის დირექტივებს დამორჩილებოდა. მასთანავე ინტელიგენცია ძლიერ დააფრთხო 1921 წ. თებერვლის გადატრიალების პირველ პერიოდში შექმნილმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა. ინტელიგენტური წრეები მოზხამა მემარჯვენე პოლიტიკურ პარტიების აგიტაციამ, რასაც უკანასკნელ დრომდე მაინც დიდი გასავალი ჰქონდა. ინტელიგენცია კვლავ ფიქრობდა, რომ ფრანსუა-ხომერიკების პოლიტიკა კვლავ დაუბრუნებდა მათ ძველს მდგომარეობას, მაგრამ პოლიტიკური ანგარიში შეეშალათ. დღეს შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის კონტურები რამდენადმე გამოირკვა მათთვისაც და ისინიც ვერ ასცდენ იმ დიდ პროცესს, რომელსაც მათი თანამოძმენი განიცდიან რუსეთში. მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები დაირღვენ: მენშევიკების ორგანიზაცია, რომლის შესახებაც დიდი წარმოდგენა ჰქონდა შემუშავებული ჩვენს ინტელიგენციას, ბუნებრივად გადაყვა თავის ავანტიურისტულ პოლიტიკის შედეგებს. მეორეს მხრით ინტელიგენცია ნათლად ხედავს იმ დიდ საამშენებლო მუშაობას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში. **შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქართულ კულტურას არასოდეს არ ჰქონია ასეთი ხელსაყრელი პირობები თავისი ენერგიის გამოსაჩენად და გასაფურჩქნად, როგორიც არის შექმნილი დღეს ჩვენში.** თეატრი, სწავლა განათლება, გამომცემლობა, კულტურის ყოველი დარგი უდიდეს მზრუნველობის საგანია მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის. არასოდეს ჩვენში არ გამოცემულა იმდენი წიგნები, რამდენიც იცემა ახლა ყოველწლიურად. აიღეთ თეატრის საქმე... მაგრამ აქ ვალაპარაკოთ ცნობილი მსახიობი ალ. იმედაშვილი. აი რას სწერდა იგი ამ ერთი კვირის წინად „ქართული სიტყვის“ ფურცლებზე: „დღეს უკეთესი პირობები შექმნა ქართულ თეატრს არა იმითი, რომ უკეთესი მსახიობები მოევლინა მას, არამედ მით, რომ უფრო დახელოვნებულ და ნიჭიერ ადამიანის ხელში ჩავარდა თეატრის მეთაურობა და **ერთი ახად მეტი საშუალებაც აქვს თავისი უნარი და შემოქმედება განახორციელოს. დღეს თეატრმა (ტფილისისამ) არ იცის, თუ რა არის დაბრკოლება ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად; წინად კი ერთი ლურსმნის ყიდვაც დიდ ტრაგედიას შეადგენდა ქართული თეატრისათვის; დღეს აუარებელი ფული იხარჯება ყოველ პიესის დადგმაზე და შემოსავალი სულაც აღარ აინტერესებთ; წინად კი უმთავრესი წყარო თეატრის შესანახად თვით შემოსავალი იყო. აი, ასეთი ოქროს** ხანა დაუდგა ქართულ თეატრს“... (იხ. „ქარ. სიტყვა“. № 13).

მატერიალური დოვლათის დაგროვება პროლეტარიატის ხელში არის ერთად-ერთი პირობა ნაციონალური კულტურის ასაყვავებლად და გასაფურჩქნად: სხვა რა შეადგენს ჩვენი ხელისუფლების მთავარ ამოცანას, თუ არა ხალხის მდგომარეობის მატერიალური გაუმჯობესება და ეკონომიური დაწინაურება. ამ საამშენებლო მუშაობას ხედავს ინტელიგენცია და ისიც თანდათან რწმუნდება იმაში, რომ ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ჩვენი ერის გამოყვანა გაჭირვებულ მდგომარეობიდან, არის მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

საბჭოთა მთავრობის მორიგ ამოცანას შეადგენს ამ თვითგამორკვევის პროცესში მყოფ ფართო ინტელიგენციისათვის დახმარების გაწევა, მათი იდეიური დაპყრობა და დაყენება თავისი გავლენის ქვეშ. მატერიალური მდგომარეობით ჩვენი ინტელიგენცია უახლოვდება ფართო მშრომელ მასებს; მაგრამ მათში გამჯდარი არის წვრილბურჟუაზიული მეშჩანობა და ნაციონალიზმი. ამ ინტელიგენციას აქვს ერთგვარი რევოლიუციონური წარსული და ტრადიცია: მას ესაჭიროება აღზრდა ახალს სოციალისტურს პრინციპებზე და დიდი მოძრაობის იდეების ახსნა-განმარტება. საბჭოთა სოციალისტური წყობილების მთავარი აზრი უნდა შეიგნოს ინტელიგენციამ და ის უნდა შეიქმნეს მისი აქტიური დამცველი. ასეთი გარდაქმნა ინტელიგენციისა შესაძლებელი არ არის მარტო პოლიტიკური აპარატის ძალდატანების საშუალებით. ამასთან ერთად საჭიროა ფართო კულტურული მუშაობის გაჩაღება და რეალურად დამტკიცება საბჭოთა წყობილების უპირატესობისა ძველ წყობილებასთან შედარებით. ამ ფრონტზე ჩვენ მრავალი რამ გავაკეთეთ, მაგრამ უფრო მეტი წინ გვიდევს გასაკეთებლად. რამდენათაც უფრო მაგრად ვსცემთ ჩვენს საამშენებლო წერაქვს და ვაჩაღებთ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მუშაობას, ვსპობთ უსწავლელობასა და აყვავების გზაზე ვაყენებთ ჩვენი კულტურის დარგებს, იმდენად უფრო მძლავრად ვსპობთ ჩვენს ინტელიგენციას მეშჩანური აზროვნება და ვაყენებთ მას ჩვენი დროშის ქვეშ.

მარქსმა კაი ხანია რაც გვიანდერძა, „**რომ გონებრივი მოღვაწეობა სხვაფერდება მატერიალურ მოღვაწეობასთან ერთად, რომ ადამიანთა ცხოვრების პირობებთან, მათს საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, მათს საზოგადოებრივ მდგომარეობასთან ერთად იცვლება მათი წარმოდგენა, მათი აზრი და ცნება, ერთი სიტყვით—მთელი მათი შეგნება**“.

ინტელიგენციის შეგნებაში მეშჩანურ იდეოლოგიის საბოლოოდ გადაშენების შესაძლებლობა დამოკიდებული არის ამ დიდი ტრანსფორმაციის პროცესებთან.

ს. ხ.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 42.

მომავალი დღესასწაულებისათვის

წითელი არმიის არსებობის 6 წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის ჩატარების

წესრიგი

ქალაქში

22 თებერვალს 22 თებერვალს ჩატარებული იქნება წითელი არმიის და ახკომკავშირის დაახლოვება.

წითელარმიელთა და ახკომკავშირის კლუბებში სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებების საერთო საღამოები და მოხსენებები ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადების შესახებ.

წითელი არმიის არსებობის 6 წლის თავი.

23 თებერვალს—მუშების, მუშა-ქალების, ახკომკავშირის და პროლეტარულ სტუდენტობის დელეგაციების მიერ ყაზარმების ნახვა.

საღამოს წითელარმიელთა კლუბებში წითელარმიელების და მუშების გაერთიანებული საზეიმო სხდომები წითელი არმიის არსებობის 6 წლის თავის აღსანიშნავად.

წითელ არმიის ნაწილები, რომელთაც აქვთ საკუთარი კლუბები, მართავენ საღამოს მუშათა კლუბებში.

საზეიმო სხდომების შემდეგ თვითმოქმედების საღამოები.

24 თებერვალს—სასპორტო შეჯიბრება წითელი არმიის ნაწილებსა, წვევამდელებსა და სპარტაკს შორის 4 პუნქტში:

1) დიდუბის მინდორზე,
2) 21-ე სკოლის მოედანზე,
3) ავლაბარში,
4) ვაკეზე.

შეჯიბრებაზე დასწრება შეუძლიათ პროფკავშირების ყველა წევრებს.

26 თებერვალს—საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავი. საღამოს ყველა მუშათა კლუბებში საკლუბო საღამოები. მოხსენებები საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის შესახებ.

მოხსენებების შემდეგ თვითმოქმედების საღამოები. ლენინის სახელობის სხვადასხვა დაწესებულებათა გახსნა. კედლის გაზეთების გამოშვება.

წითელარმიელთა კლუბებში წარმოდგენები და კონცერტები ხელოვნების მუშაკთა კავშირის კულტ-შეფების ძალებით.

მაზრაში

23 თებერვალს—სოფლებში, სადაც წითელ არმიის ნაწილები დგანან—დღესასწაული ჩატარებული იქნება ნაწილების ძალებით და გლეხების მონაწილეობით.

ყველა სოფლებში მიტინგები წითელი არმიის არსებობის 6 წლის თავის შესახებ.

24 და 25 თებერვალს—ქალაქიდან მიდიან მუშათა, წითელარმიელთა და ახკომკავშირის დელეგაციები საშეფო კომისიების ხელმძღვანელობით.

ყველა სოფლებში მიტინგები საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის შესახებ.

სკოლების, სამკითხველო-ქოხების და კოოპერატივების გახსნა.

კომისია

მოსკოვის საბჭოს პლენუმი

მოხსენება წითელი არმიის შესახებ.

მოსკოვი. 20 თებ. მოსკოვის საბჭოს პლენუმზე ამხ. მურალოვმა რიგს გარეშე მოხსენებაში აღნიშნა, რომ **23 თებერვალს გაიმართება დღესასწაული წითელი არმიის ექვსი წლის არსებობის გამო. ამხ. მურალოვმა ხაზი გაუსვა წითელი არმიის გმირულ მოღვაწეობას და გააცნო დამსწრეთ მთავრობის მიერ წითელი არმიის მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასაყვანად მიღებული ზომები.**

ამხ. მურალოვმა აღნიშნა უცხოეთის არმიების ტეხნიკური უპირატესობა და განაცხადა, რომ საჭიროა კულტურულ-განმანათლებელ და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება წითელ ჯარში მისი ტეხნიკური წინსვლის და ბრძოლის უნარიანობის გასაძლიერებლათ. წითელი არმიის აღზრდის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ის ყოველ წუთს მზად იყოს მშრომელთა რესპუბლიკების დასაცავად.

მოსკოვის საბჭოს პლენუმმა ამხ. მურალოვის მოხსენების გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ესალმება წითელ არმიას, რომელმაც საბოლოოდ გაარღვია ბლოკადის რკალი და საშუალება მისცა განთავისუფლებულ ერებს შეექმნათ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდი კავშირი. წითელმა ჯარმა უზრუნველჰყო აგრეთვე საბჭოთა კავშირის ცნობა კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ.

მოსკოვის საბჭოს პლენუმი მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ წითელი არმიის აპარატს მომავალ მუშაობაში და უზრუნველჰყონ ჯარში მორიგ გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხების წარმატებით გადაჭრა.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პლენუმი 1902 წელში დაბადებულთა მომავალ გაწვევას ჯარში და ავალებს გასაწვევ ახალგაზრდობას უზრუნველჰყონ მუშებისა და გლეხების მშვიდობიანი მუშაობის შესაძლებლობა, ვინაიდან მუშებისა და გლეხების შრომით იქმნება საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერება. პლენუმი ავალებს მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმს გაუგზავნოს მისალმება სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს და წითელი არმიის ბელადს ამხ. ტროცკის.

მოხსენება კოოპერაციაზე.

მოსკოვის საბჭოს პლენუმზე ამხ. ვულფსონმა გააკეთა მოხსენება კოოპერაციაზე და აღნიშნა მომხმარებელთა კოოპერატივების ზღაპრული ზრდა მოსკოვის გუბერნიაში. 1913 წელში მოსკოვში იყო 33 კოოპერატივი 12,375 წევრით, 1923 წელს—104 კოოპერატივი 250,000 წევრით. მოსკოვის გუბერნიაში 1913 წელს იყო 78 პირველი საფეხურის კოოპერატივი 26,747 წევრით, 1923 წელს—303 კოოპერატივი 240,000 წევრით.

მოხსენებამ გამოიწვია მხურვალე კამათი, რომლის დროსაც აღნიშნავდენ კოოპერატივების ორგანიზაციული სტრუქტურის ნაკლს.

ფულის რეფორმისათვის

ლითონის ფულის გამოშვება

მოსკოვი. 20 თებერვ. **სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი დეკრეტისა ვერცხლისა და სპილენძის ფულის მოჭრის და ხმარებაში გამოშვების შესახებ. საბჭოთა ნიმუშის ვერცხლის ფული გამოშვებული იქნება 10, 15, 20, 50 კაპეიკის და 1 მანეთის ღირებულებისა. სპილენძის ფული—1, 2, 3 და 5 კაპ. ღირებულებისა. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატს წინადადება ეძლევა გააძლიეროს ფულის მოჭრა იმ ანგარიშით, რათა მოჭრილ ფულის ჯამი 1925 წ. 1 იანვრისათვის უდრიდეს არა ნაკლებ 100 მილიონ მანეთს. ფინანსთა სახ. კომისარიატს ნებადართული აქვს, იმ შემთხვევაში, თუ მახლობელ თვეებში მან ვერ მოასწრო ფულის საჭირო რაოდენობის დამზადება, ფულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოუშვას შრომის და თავდაცვის საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით ბონები 1—50 კაპეიკამდე, რომლებიც მიიღებიან ვერცხლის ფულთან თანაბრად და არა უგვიანეს 1925 წ. 1 იანვრისა დახურდავდებიან ლითონის ფულზე თანასწორი ღირებულებით.**

სახ. კომისართა საბჭო ამავე დროს კრძალავს ანგარიშების გასწორებას მეფის დროის მოჭრილ ფულით.

სპილენძის ფულის სანიმუშო მოჭრა

ლენინგრადი 20 თებერვალი. **„კრასნაია ზარია“ ქარხანაში მოიჭრა სანიმუშო სპილენძის ფული. მოჭრილი ფულები სავსებით აკმაყოფილებს ფინანსთა სახ. კომისარიატის მოთხოვნილებას.**

საბჭოთა ფულის ნიშნები და ჩერვონეცი

მოსკოვი. 20 თებერვ. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმის სხდომაზე საკონიუნქტურო კომიტეტის წარმომადგენელმა პროფესორმა პერვუშინმა განაცხადა, რომ 1 იანვრისათვის საბჭოთა ფულის ნიშნები შეადგენდენ მთელი ფულის მასის ღირებულების დაახლოვებით 16 პროც.-ს, 1 თებერვლისათვის—10 პროც.-ს. ნოემბერში საქონლის ფასები და ჩერვონეცის კურსი იცვლებოდენ თითქმის თანაბრად, დეკემბერში საქონლის ფასები იზრდებოდენ უფრო ჩქარა, ვიდრე ჩერვონეცის კურსი, მაგრამ, ეს არ ამტკიცებს ჩერვონეცის ფასის დაკარგვას. ვინაიდან უცხოეთის ვალიუტის სყიდვითი უნარიანობა საქონლის ინდექსთან შედარებით აგრეთვე შემცირდა. ამის მიზეზი მდგომარეობს არა ფულებში, არამედ საქონელში და უმთავრესად სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებზე ფასების ზრდაში.

პურის დამზადების ოპერაციები წარმატებით მიმდინარეობს: 20 იანვრისათვის დამზადებულია მთელ საბჭოთა კავშირში 270 მილიონი ფუთი პური.

ვერცხლის ფულის გეგმა—შეწონილი განაწილება

მოსკოვი. 20 თებერვ. **ფინანსთა სახ. კომისარიატი გეგმაშეწონილად აგზავნის ვერცხლის ფულს ადგილებზე იმ მიზნით, რათა ლითონის ფულის ხმარებაში გამოშვება მოხდეს ერთსა და იმავე დროს მთელ საბჭოთა კავშირში.**

ეს არის ძველის განმეორება

მოსკოვი. 19 თებერვალი. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს უფროსის ამხ. იუროვსკის ცნობებით, **საბჭოთა კავშირის საქონლის ბრუნვას სრულიად უმტკივნეულოთ შეუძლია მიიღოს ხმარებაში 120—150 მილ. ოქროს მან. სახაზინო ბილეთებით.** საბჭოთა ფულის ნიშნები რამოდენიმე ხნით დარჩება ხმარებაში ახალ ბილეთებთან ერთად, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას დარწმუნდეს, რომ ეხლანდელი რეფორმა არ არის ძველის განმეორება.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მუშების ლტოლვა კომპარტიისაკენ.

ბაქო. 18 თებერვალი. ბაქოში მუშების შესვლა კომპარტიაში ფართო ხასიათს ღებულობს. მშრომელი მასა გზავნის მოწინავე პროლეტარებს ლენინის კომუნისტური პარტიის რიგებში. იმ მუშების რიცხვი, რომლებმაც განაცხადეს კომპარტიაში შესვლის სურვილი, მარტო ბაქოში აღემატება 5.000. ფაბრიკის 118 მუშამ და მუშა ქალმა, რომელთა შორის ბევრი არიან მუსულმანებიც, განაცხადეს კომპარტიაში შესვლის სურვილი. გემი „ლენინი“-ს სამხედრო მეზღვაურებმა დაადგინეს შევიდენ რუსეთის კომპარტიის რიგებში.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო. 17 თებ. იანვრის განმავლობაში ბაქოდან, ბათომის გზით გაუტანიათ 723,901 ფუთი, 323,191 ფ. პირველი ხარისხის ჩარხის ზეთი, 628,420 ფ. სოლიარ. ზეთი, 23,870 ფ. მეორე ხარისხის ჩარხის ზეთი, 87,179 ფ. ციბრუტის ზეთი, 480 ფ ცილინდრის ზეთი.

სომხეთი

ბამბის კამპანია.

ერევანი. 18 თებერვალი. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოხსენებით, ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა სომხეთის მებამბეობის მთავარსამმართველოს მიმდინარე წლის განმავლობაში, ბამბის კამპანიის ფარგალში მოათავსოს აგრეთვე დარალაგეზის მაზრა; მებამბეობის მთავარსამმართველოს დაევალა უახლოეს ვადაში წარმოადგინოს პროექტი მებამბეთა გასამრჯელოსა და გაუპენტავი ბამბის შეძენის შესახებ.

ეპიდემია.

ერევანი. 18 თებერვალი. იანვრის განმავლობაში ერევნის მაზრაში მძვინვარებდა „გრიპი“ და ფილტვების ანთება. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა სათანადო ზომები მიიღო.

სახელმწიფო გამომცემლობა.

ერევანი. 18 თებერვალი. სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგია ახლო მომავალში შეუდგება მარქსის, ენგელსისა და ლენინის ნაწერების კრებულთა გამოცემას სომხურ ენაზე, კასიანის რედაქციით.

ელექტროფიკაცია.

ერევანი. 18 თებერვალი. სომხეთის უმაღლესი ტეხნიკური საბჭო სახალხო კომისართა საბჭოში აღძრავს საკითხს ჰიდრო-ელექტროსადგურის აგების შესახებ ეჩმიაძინის მაზრაში. სადგურის აგება განზრახულია მდინარე კასახზე, ოშაკანო-აშტარაკის რაიონში. ეჩმიაძინის მაზრის ელექტრო-ფიკაციის საკითხი კარგა ხანია რაც მომწიფდა. მდ. კასახის მდინარეობა, განსაკუთრებით ოშაკანსა და აშთაკარს შუა, თავისი სიმძლავრით უფრო მეტად გამოსაყენებელია ამ მიზნისათვის.

განათლების მუშაკთა მესამე ყრილობა

მეექვსე სხდომა.

16 თებერვლის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი გან. სახ. კომისრის მოხსენების გარშემო. ორატორთა უმრავლესობა ეხებოდა პროვინციის სკოლების მდგომარეობას და მიუთითებდა ადგილებზე განათლების საქმისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენას.

იყო აგრეთვე პრინციპიალური ხასიათის კამათი სახალხო განათლების დაყენების შესახებ.

პროფ. ნუცუბიძის სიტყვა.

პროფ. ნუცუბიძე სიამოვნებით აღნიშნავს სახ. გან. კომ. განცხადებას იმის შესახებ, რომ საქ. უნივერსიტეტმა გაამართლა მასზე დამყარებული იმედები.

საქ. უნივერსიტეტი ცნობილია ევროპის 82 უნივერსიტეტიდან, და რომელიც უშუალო კავშირი აქვთ ჩვენ უნივერსიტეტთან დამყარებული. საქართველოს უნივერსიტეტს მოუვიდა მოპატიჟების ქაღალდი ნეაპოლიტანის უნივერსიტეტიდან, რომელიც დღესასწაულობს თავის 700 წლის არსებობის წლისთავს.

არ არის მართალი ის დებულება, თითქოს საშუალო და უმაღლეს სასწავლებელს შორის კავშირი არ არსებობდეს. უნივერსიტეტის პროფესორები უშუალოდ ხელმძღვანელობენ საშუალო და დაბალი ტიპის საცდელ-საჩვენებელ სკოლებს. რაც შეეხება უნივერსიტეტის საგამომცემლო მოქმედებას, უნივერსიტეტს ამ ჟამად აქვს დამზადებული 42 სამეცნიერო შრომა, რომლის დაბეჭდვა უსახსრობის გამო შეუძლებელი ხდება.

საღამოს სხდომა (მეშვიდე).

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება

(მასიური სკოლა და მასწავლებლის როლი სოფლად).

უკანასკნელ ხანებში, ამბობს ამხ. მომხსენებელი, სოფელი იქცევს საერთო ყურადღებას. თუ ე. წ. „მაკრატელ“-ს გადავიტანთ კულტურულ ფრონტზე, დავინახავთ, რომ მისი პირები (ქალაქი და სოფელი) დიდათ დაშორდენ ერთმანეთს. კულტურულად ჩამორჩა სოფელი, ჩამორჩა სახალხო მასწავლებელიც, რომელიც ერთად-ერთი კულტურული ძალაა სოფლად. ამ ყრილობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჩვენი სოფლის სკოლა არ არის მოგვარებული. სკოლა და მასწავლებელი უნდა შეიქნეს ქალაქის და სოფლის შემაერთებელ ხიდათ. სახალხო მასწავლებელმა ქალაქის კულტურა უნდა გადარგოს სოფლად.

ყოველ სოფელს უნდა ჰქონდეს ოთხ წლიედი სკოლა (მასიური), რომელიც უნდა ეფარდებოდეს ჩვენი ქვეყნის სასოფლო მეურნეობას. ოთხწლედმა უნდა შეასწავლოს ახალგაზრდობას სასოფლო მეურნეობას გაუმჯობესება. ბევრი მოზარდი სწავლას ოთხწლედით ამთავრებს, ამიტომ ოთხწლედი გამოცხადებულია საყოველთაო-სავალდებულოდ. საქართველოს სინამდვილეში არსებობს მეორე გვარი „მაკრატელიც“. ეს არის აღმოსავლეთ საქართველოს კულტურული ჩამოქვეითება დასავლეთ საქართველოსთან შედარებით. დასავლეთ საქართველოს სკოლებში დაიარება დაახლოვებით ბავშვების 80 პროცენტი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ სკოლებში კ—8 პროც.

ამიტომ აღმ. საქართველოს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

კომისარიატის მეთოდიური მუშაობა სწორედ აქეთკენ არის მიმართული. მასიური სკოლების პრინციპს ეთანხმება საბავშვო გამომცემლობა.

მომავალში ჩვენ დაგვჭირდება ახალგაზრდა გლეხობის სკოლის შექმნა. მოსწავლე გლეხი ისეთ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომ ის უკვე კვალიფიცირებული კულტურული უბრუნდებოდეს სოფელს. ამ მიზანს ემსახურება ახალგაზრდა გლეხობის სკოლა და შვიდწლედი.

სკოლის ჰასაკამდე აღზრდა არ თხოულობს დიდ მატერიალურ და ტეხნიკურ საშუალებებს. მხოლოდ ჩვენ გვაკლია ხელმძღვანელები. მდგომარეობის გამოსასწორებლად გაიხსნება სპეციალური კურსები. სკოლის ჰასაკამდე აღზრდის საქმეს დიდათ უნდა გამოეხმაუროს სოფლის მცხოვრები. ბავშვი ხელს უშლის მშრომელ ოჯახს. სოფლად უნდა გავაფართოვოთ საბავშვო ბაღების ქსელი (კოოპერატიული საშუალებით). რამდენადაც ღარიბი და მოუწყობელი არ უნდა იყვეს სკოლა, ის მაინც კულტურის ერთად ერთი უჯრედია სოფლად. ეს ფრიად საყურადღებო გარემოებაა. მასწავლებელი შეგნებულად უნდა გახდეს საბჭოთა იდეის გამავრცელებელი სოფლად. ახალ, საბჭოთა მასწავლებელს შეუძლიან და უნდა იკისროს კიდეც სოფლად კულტურულ საფუძვლის აგება.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ინტელიგენციის საკითხს.

მასიური ინტელიგენციის ისტორიამ არ იცის, რომ ის ოდესმე ყოფილიყოს ბურჟუაზიულ წყობის მომხრე (პოლიტიკურად და ეკონომიურად). თუ მოკლეთ თვალს გადავავლებთ ინტელიგენციის ისტორიას, დავინახავთ, რომ ის ცარიზმის დროს იყო რევოლიუციონურად განწყობილი, მხოლოდ როცა რევოლიუცია კლასიური გახდა, ინტელიგენცია დაიყო სამ ჯგუფად; ინტელიგენციის ერთი ნაწილი მოექცა რევოლიუციის მიღმა (ემიგრაცია გარეთ, ემიგრაცია შიგნით). ინტელიგენციის მეორე დიდი ნაწილი განზედ დადგა—გახდა ნეიტრალური; ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ნაწილი შერჩა მშრომელთა რიგებს. ასეთი დიფერენციაცია აიხსნება არა იმით, თითქოს ინტელიგენცია გადუდგა რევოლიუციას,—არა,—ინტელიგენციას ეშინოდა კულტურის ჩამოქვეითების მშრომელთა ხელისუფლების დროს. მაგრამ აშკარაა ასეთი ნაბიჯით ის ვერ დაიმსახურებდა პროლეტარიატის სიყვარულს ლენინი თავიდანვე გრძნობდა ინტელიგენციის მშრომელკლასთან დაბრუნებას. ეს ასეც მოხდა. ის ინტელიგენცია, რომელიც მონოპოლიას აცხადებდა კულტურაზე, დაუბრუნდა მუშათა კლასს, დაუბრუნდა რევოლიუციას. ამ მხრით ფრიად საყურადღებოა აკადემიკ მარის და ოლდენბურგის უკანასკნელი გამოსვლები. რუსეთში არა თუ განადგურებულა კულტურის ძეგლები, არამედ აკ. ოლდენბურგის მოწმობით, ახალი ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლებია შექმნილი. რევოლიუცია ამჟამად განვითარების ახალ ფაზისშია, როცა ჩვენ გვჭირდება ინტელიგენციის კავშირი. მაგრამ ემიგრანტული ინტელიგენცია გაიხრწნა, გამოიფიტა, დაიშრიტა. სამაგიეროდ რუსეთში ინტელიგენცია დიდ შემოქმედებითი მუშაობას ეწევა.

საქართველოშიც დიდი შემოქმედებითი მუშაობაა (მაგ. განათლების მუშაკებში). აილეთ ჩვენი ყრილობა: ჩვენ ვიცით მასწავლებლის მატერიალური მდგომარეობა. მიუხედავათ ამისა ყრილობაზე უმთავრესად ყურადღება პედაგოგიურ და მეთოდიურ საკითხებს ექცეოდა. ეს დამახასიათებელი—ფსიქოლოგიური მომენტია ინტელიგენციის განწყობილებაში.

ჩვენ ინტელიგენციას არასოდეს არ იყო არც პოლიტიკური, არც ეკონომიური პრივილეგიით აღჭურვილი.

ჩვენ მიზნათ ვისახავთ განვახორციელოდ სამის ერთობა: მუშის, გლეხის და მშრომელი ინტელიგენტის. ეს მით უფრო შესაძლოა, რომ ჩვენში ადგილი არ ქონია ინტელიგენციის ზევით ხსენებულ დიფერენციაციას. ჩვენში ადგილი არ ჰქონია საბოტაჟს, გაფიცვებს.

სასოფლო სკოლების დაარსება არაა საკმარო. მუშა და გლეხს აქვს სხვა მრავალი მოთხოვნილება, მაგ.: ანტირელიგიური პროპაგანდა, რევოლიუციონური დღეების მოწყობა, წ. კ. უ. ლიკვიდაცია და სხვა. ყოველივე ამაში ის საჭიროებს სახალხო მასწავლებლის დახმარებას. დიდი მუშაობა მართებს სოფლის მასწავლებელს. დღეს მთავრობამ, აღმასკომებმა და ყველამ უნდა გადაისროლოს ლოზუნგი: ყურადღების მაქსიმუმი მასიურ სკოლას, სოფლის მასწავლებელს. სოფლის მასწავლებელი უნდა მუშაობდეს არა მარტო თავის პროფესიულ პედაგოგიურ დარგში, არამედ ის უნდა გახდეს სოფლად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი. ამით ჩვენ შევსძლებთ კულტურულ ფრონტზე დაშორებულ „მაკრატლის“ პირების შეერთებას.

აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ სახალხო მასწავლებელს.

ორიოდე შეკითხვის შემდეგ იმართება კამათი.

ლტოლვა კომპარტიისაკენ

დანაკლისს ავსებენ.

მოსკოვი. 20 თებერვალი. **მოდის ცნობები კომპარტიაში მუშების მასიური შემოსვლის შესახებ: მოსკოვში 18 თებერვლამდე შეტანილია 21,409 განცხადება, მოსკოვის გუბერნიაში—10,000-ზე მეტი, ბაქოში—4,600 ვოლოგდაში—2,300. რიბინსკში—275, ბლაგოვეშჩენსკი—300, კრემენჩუგში—500, პსკოვში—765.**

დონის როსტოვი. 20 თებერვალი. **ილიჩის გარდაცვალების შემდეგ** შემოვიდა 1,800 განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. გრძელდება განცხადებების მიღება.

ცარიცინში. 19 თებერვალი. პარტიაში შესვლის შესახებ სულ შემოვიდა 1000 განცხადება.

ივანოვო-ვოზნესენსკში. 19 თებერვალი. 15 თებერვალს შემოვიდა 1,121 განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. საკანდიტერო ფაბრიკის მუშებმა დაადგინეს ერთი დღის ხელფასი გადასდონ ლენინის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

პარტიული ცხოვრება

პარტიაში მოდიან

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იუწყება, რომ ქვემოდასახელებულ ამხანაგებმა შემოიტანეს რაიკომში განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

ამხანაგებს და იმ პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთები ამ ამხანაგების წინააღმდეგ, ვსთხოვთ წარმოადგინონ ასეთები ერთი კვირის განმავლობაში 3-ე რაიკომში. (კახეთის ქ. № 1)

მდივანი ვართაპეტიანი

1. ჩუკოევი მიხეილ—ქალაქის სასაკლაოს მემანქანე. 2 მნაცაკანოვი არშაკი—ქალაქის სასაკლაოს მუშა, 3) სააკიან გუკასი—ქალ. სასაკლაოს მემანქანე, 4) ლუკაშევიჩი პეტრე—ქალ სასაკლაოს ზეინკალი, 5) ბანდარელი ალექსანდრე—ქალ. სასაკლაოს ზეინკალი, 6) ბაირამოვი ისმაილი—აგურის ქარხნის მუშა, 7) ღარიბიანი არტაშესი—ტფილისის საპნის ტრესტის მუშა, 8) გერასიმაშვილი იაკობი ტფილისის საპნის ტრესტის მექანიკოსი. 9) ზიატკოვსკი ლეონ—რკინისგზელი. 10) ტატიშვილი სარქისი—რემონტის მუშა, 11) განიზაშვილი დავით—რემონტის მუშა, 12) დალინგ ბორის—სად. აგტაგლიას ნავთსადინარის ხარატი, 13) განიზაშვილი ივანე—რემონტ მუშა, 14) ჩანჩალეიშვილი სევერიანე—რემონტის მუშა, 15) არუთიუნოვი გრიგოლი—სამხედრო წისქვილის ხარატი, 16) ვიშნევეცკი დიმიტრი—სად. აგტაგლის ნავთსადინარის ხარატი, 17) მამედალი-ზადე-ასკერ—სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სტამბის ასოთ-ამწყობი, 18) ტაბატაძე ზაქარია—ტფ. საპნის ტრესტის საპნის მხარშავის თანაშემწე, 19) დალაქიშვილი ალექსანდრე—ტფილისის საპნის ტრესტის მჭედელი, 20) ლაშკინი მარიამი—ტფილისის საპნის ტრესტის ფეიქარი, 21) ნაფეტვარიძე ვანო—ტფილისის საპნის ტრესტის ზეინკალი.

გურია

ამ ჟამად მაზრაში არსებობს რვა რაიონული კომიტეტი. გასულ თვესთან შედარებით იანვარში უჯრედების რიცხვში ცვლილება არ მომხდარა. თანახმად მაზრკომის დადგენილებისა თვითეულ რაიონზე მიმაგრებულია ხელმძღვანელათ და მუშაობის სასურველ დონეზე დასაყენებლათ მაზრკომის წევრი, რომლებსაც ევალებათ თვეში ერთხელ მაინც ჩამოიარონ უჯრედები და მისცენ მათ დირექტივები და აგრეთვე მაზრკომის დადგენილებები გადაიტანოს უჯრედებში, გაერკვიონ, გაეცნონ ადგილობრივ უჯრედების მდგომარეობას და სხვა.

უნდა ითქვას, რომ ასეთი წესი მაზრკომის წევრების რაიონის უჯრედებზე მიმაგრება, სასურველ შედეგებს იძლევა.

იანვარში ჩატარებულ იქნა შემდეგი უმთავრესი კომპანიები 1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი; 2. 15 იანვარი, ლიბკნეხტის და ლიუქსენბურგის სახსოვარი საღამოები. ცხრა (22) იანვარი—გაპონის ავანტიურა და სხვა. აღნიშნული კომპანიები მაზრაში დიდის ინტერესით ტარდებოდა.

პოლიტგადასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ პარტწევრები პოლიტცოდნას მოკლებულ წევრთა რიცხვი აღწევს 900 კაცს. მაზრკომმა უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები მათი მომზადებისთვის. იაჩეიკებთან გამოყოფილია პოლიტწრეები, სადაც მიმაგრებულია ამხანაგები და აწარმოებენ მეცადინეობას. ამასთან აღნიშნულ წრეებში შედის აგრეთვე უპარტიო გლეხები და გლეხის ქალები. ამასთან ერთად იმართება ხანგამოშვებით იაჩეიკის ღია კრებები უპარტიოებთან ერთად, რომლებიც დიდი ინტერესს იწვევს უპარტიოებში. შემოდის მრავალი განცხადებები პარტიაში შემოსვლის შესახებ. უპარტიო მასაში კომპარტიის იდეიური გავლენა ძლიერდება. იანვრის პირველ რიცხვებიდან სისტემატიურათ სწარმოებს მეცადინეობა ოზურგეთის პოლიტსკოლაში, სადაც მეცადინეობს 30 კაცი და ქალი. მიღებულია ზომები სხვა მთავარ რაიონებში პოლიტსკოლების მოსაწყობათ, მაგრამ ადგილებზე მათ მუშაობას ხელს უშლის ძალების უყოლობა. მეცადინეობა პოლიტსკოლაში სწარმოებს ცენტრიდან გამოგზავნილი პროგრამის თანახმად. თებერვალში უკვე მოწყობილ იქნება პოლიტსკოლები: ხიდისთავში, ლანჩხუთში და ჩოხატაურში.

იანვარში პარტსკოლაში ითვლება 42 მოწაფე, ამათში 18 პარტიის წევრი, 10 კანდიდატი, 12 კომკავშირის წევრი და 2 თანამგრძნობი ქალი. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს, ლექტორების რიცხვი საკმაოა. სკოლას განაგებს მარქსისტულად საკმაოთ მომზადებული ამხანაგი თ. ჩიჩუა. დღევანდლამდე სკოლის ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ ცუდი იყო, მაგრამ ეხლა ეს ნაკლი უკვე გამოსწორებულათ უნდა ჩაითვალოს. ცეკა უკვე გზავნის სისტემატიურად საჭირო თანხას. კანიკულების დამთავრების შემდეგ 20 თებერვლიდგან სკოლას დაემატება თანახმად ცეკას განკარგულებისა 20 პარტწევრი.

18—19—20 იანვარს სწარმოებდა ქალაქის იაჩეიკების გაერთიანებულ კრებებზე პარტიულ დისკუსიის გარშემო კამათი, ყველა სათანადო მასალების და რეზოლიუციების შესწავლა. იაჩეიკის წევრები დიდის ინტერესით ეკიდებოდენ აღნიშნულ საკითხების შესწავლას. სამი დღის კამათის შემდეგ ერთხმად მიღებულ და მოწონებულ იქნა ცეკას რეზოლიუციები პარტმშენებლობის შესახებ. ეხლა სწარმოებს უკვე იაჩეიკების კრებებზე შესწავლა „ეკონომიურ საკითხების ახალი ამოცანების შესახებ“ რეზოლიუციების, რომლებსაც აქვთ მხოლოდ შესწავლის ხასიათი. განზრახული იყო დისკუსიის რაიონებში გადატანა, მაგრამ ამ დროს მოუსწრო ჩვენი საყვარელი ილიჩის სიკვდილმა და ყოველივე დისკუსია შესწყდა.

თავზარდამცემი ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ მივიღეთ ოცდა ორ იანვარს, საღამოს. აუწერელია ის ფსიქოლოგიური გავლენა, რომელიც გამოიწვია ცნობამ ილიჩის გარდაცვალების შესახებ პასუხისმგებელ ამხანაგებში. ყველანი დიდ დაბნეულობას გრძნობდენ და გონს ვერ მოსულიყვენ.

მეორე დღეს დილას კომიტეტში გაიმართა სამგლოვიარო სხდომა. დილის 10 საათზე უკვე ლენინის მოედანზე რამდენიმე ათასეულ კაცს მოეყარა თავი, თავჩაღუნული და თვალცრემლიანი შეყურებდენ ერთიმეორეს. მწუხარების გამო ლაპარაკი ეშლებოდათ. გამოვიდნენ მიტინგზე ამხანაგები და ილაპარაკეს ლენინის დაკარგვის შესახებ.

დასაფლავების დღეს 27 იანვარს უკვე მთელი გურია ამოძრავებული იყო. ამ დღეს გაიმართა გურიაში 28 მიტინგი სხვადასხვა ადგილას კომიტეტის მიერ და გაგზავნილ იქნა ადგილებზე მომხსენებლები. მიუხედავათ იმისა, რომ ოცდა შვიდი იანვარი დილიდანვე ღრუბლიანი დღე იყო და ცოტას კიდეც წვიმდა. დანიშნულ ადგილებზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველა დიდ სასოწარკვეთილებას გრძნობდა. აქ თქვენ ნახავდით: მოხუცს, ახალგაზრდას, მოწაფეებს, ბავშვებს და ყველას. ყველას სახეზე ამოიკითხავდით, რომ ლენინის დაკარგვა—ეს მისი საკუთარი დანაკლისია. მიტინგებზე გამოდიოდენ უპარტიო გლეხები და ფიცს სდებდენ, რომ ლენინის დაწყებულ საქმეს არ უღალატებდენ საშვილიშვილოთ. ყველგან გამოჰქონდათ რეზოლიუციები მთლიანობის და ერთსულოვნების შესახებ.

ლ.

მადლობის გამოცხადება

რადგანაც არ მაქვს საშუალება ცალ-ცალკე გადავუხადო მადლობა ყველა იმ დაწესებულებათ, საზოგადოებათ და კერძო პირებს, რომლებმაც პირადად, თუ წერილით პატივი მცეს და მომილოცეს ჩემის სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდა ათი წლის თავის დღესასწაულის გამო, ამიტომ ვთხოვ პატივცემულ რედაქციას მომცეს საშუალება ჩემი სამადლობელ წერილის მოთავსების თავის გაზეთში.

ნამეტნავად დიდად დავალებულად ვთვლი ჩემს თავს მთავრობის წინაშე, რომელმაც გამოიჩინა ასეთი მხურვალე განწყობილება ჩემდამი და უნივერსიტეტის წინაშე.

აგრეთვე გულითად მადლობას მოვახსენებ რექტორს, პროფესორებს, მასწავლებლებს და სტუდენტებს.

პროფ. პ. მელიქიშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(21 თებერვალი)

	მილ.
ჩერვონცები — —	3.020 მილ.
ფ. სტერლინგ. ეფექტ.	2.750 „
„ ჩეკები	—2680 „
დოლარი ეფექ.	— 660 „
„ ჩეკები	— 610 „
ოსმ. ქაღ. ლირა	— 400 „
იტალიური ლირა	— 27,5 „
ფრანგული ფრანკი	— 28,5 „
საბჭ. ფულის ნიშნები	— 17,5 „

ტფკოოპის ფასები.

(21 თებერვალი)

პური 1 ხარ. 20,000, პური 2 ხ. 15000, ძროხის ხორცი—70000 ათ. ღორის ხორცი—65000 ათ. შაქარი რაფინადი 116 000 ათ. ფხვნილი შაქარი—84,100 ათასი, კარტოფილი—4500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(21 თებერვალი)

პური 1 ხ.—28000 ათ., პური 2 ხარ.—20000, ძროხის ხორცი 80000 ათ. ღორის ხორცი 75000 ათ., შაქარი რაფინ. 125000 ათ., შაქარი ფხვნილი 86,000 ათ., კარტოფილი 10.000 ათ.

ბირჟის მოთხოვნილება.

ტყავეულობა ნედლი, რუსული მანუფაქტურა, პორტლანდიის ცემენტი, შაქარი რაფ. და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი, მაკარონი და ვერმიშელი 1 და 2 ხარ. ქვა-მარილი ნახიჩევანის, სახურავი რკინა, ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი.

სალომასი „ტიტრ“—8 მ. 75 კ. ფ., ფრანკო—კრასნოდარი—ქარხანა.

შაქარი რაფინ. (ნატეხი)—13 მ. 55 კ. ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ჩერვონცების ყიდვის და გაყიდვის წესრიგი სახელმწიფო ბანკში.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გაუგზავნა დაინტერესებულ დაწესებულებათ შემდეგი განმარტება, რომელიც შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს სახელ. ბანკში ჩერვონცების ყიდვა და გაყიდვა. ამ განმარტების ძალით ჩერვონცების ყიდვა და გაყიდვა შეიძლება სწარმოებდეს თვით ბანკში დღის 1 საათამდე—იმ კურსით, რომელიც დადგენილია წინა დღეს ბირჟის საფონდო განყოფილების მიერ, ხოლო 1 საათის შემდეგ—ბანკშივე, იმ კურსით, რომელიც დადგენილია საფონდო განყოფილების მიერ გარიგების დღეს.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(21 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 ქ.—	3.020.000	56 ქ.—	169.120.000
2 ქ.—	6.040.000	57 ქ.—	172.140.000
3 ქ.—	9.060.000	58 ქ.—	175.160.000
4 ქ.—	12.080.000	59 ქ.—	178.180.000
5 ქ.—	15.100.000	60 ქ.—	181.200.000
6 ქ.—	18.120.000	61 ქ.—	184.220.000
7 ქ.—	21.140.000	62 ქ.—	187.240.000
8 ქ.—	24.160.000	63 ქ.—	190.260.000
9 ქ.—	27.180.000	64 ქ.—	193.280.000
10 ქ.—	30.200.000	65 ქ.—	196.300.000
11 ქ.—	33.220.000	66 ქ.—	199.320.000
12 ქ.—	36.240.000	67 ქ.—	202.340.000
13 ქ.—	39.260.000	68 ქ.—	205.360.000
14 ქ.—	42.280.000	69 ქ.—	208.380.000
15 ქ.—	45.300.000	70 ქ.—	211.400.000
16 ქ.—	48.320.000	71 ქ.—	214.420.000
17 ქ.—	51.340.000	72 ქ.—	217.440.000
18 ქ.—	54.360.000	73 ქ.—	220.460.000
19 ქ.—	57.380.000	74 ქ.—	223.480.000
20 ქ.—	60.400.000	75 ქ.—	226.500.000
21 ქ.—	63.420.000	76 ქ.—	229.520.000
22 ქ.—	66.440.000	77 ქ.—	232.540.000
23 ქ.—	69.460.000	78 ქ.—	235.560.000
24 ქ.—	72.480.000	79 ქ.—	238.580.000
25 ქ.—	75.500.000	80 ქ.—	241.600.000
26 ქ.—	78.520.000	81 ქ.—	244.620.000
27 ქ.—	81.540.000	82 ქ.—	247.640.000
28 ქ.—	84.560.000	83 ქ.—	250.660.000
29 ქ.—	87.580.000	84 ქ.—	253.680.000
30 ქ.—	90.600.000	85 ქ.—	256.700.000
31 ქ.—	93.620.000	86 ქ.—	259.790.000
32 ქ.—	96.640.000	87 ქ.—	262.740.000
33 ქ.—	99.660.000	88 ქ.—	265.760.000
34 ქ.—	102.680.000	89 ქ.—	268.780.000
35 ქ.—	105.700.000	90 ქ.—	271.800.000
36 ქ.—	108.720.000	91 ქ.—	274.820.000
37 ქ.—	111.740.000	92 ქ.—	277.840.000
38 ქ.—	114.760.000	93 ქ.—	280.860.000
39 ქ.—	117.780.000	94 ქ.—	283.880.000
40 ქ.—	120.800.000	95 ქ.—	286.900.000
41 ქ.—	123.820.000	96 ქ.—	289.920.000
42 ქ.—	126.840.000	97 ქ.—	292.940.000
43 ქ.—	129.860.000	98 ქ.—	295.960.000
44 ქ.—	132.880.000	99 ქ.—	298.980.000
45 ქ.—	135.900.000	1 მ.—	302.000.000
46 ქ.—	138.920.000	2 მ.—	640.000.000
47 ქ.—	141.940.000	3 მ.—	906.000.000
48 ქ.—	144.960.000	4 მ.—	1.208.000.000
49 ქ.—	147.980.000	5 მ.—	1.510.000.000
50 ქ.—	151.000.000	6 მ.—	1.812.000.000
51 ქ.—	154.020.000	7 მ.—	2.114.000.000
52 ქ.—	157.040.000	8 მ.—	2.416.000.000
53 ქ.—	160.060.000	9 მ.—	2.718.000.000
54 ქ.—	163.080.000	1 ჩერვ.	3.020.000.000
55 ქ.—	166.100.000		

ქრონიკა

— **საშემოსავლო გადასახადის შეღავათები მუშა-მოსამსახურეთათვის.** საშემოსავლო გადასახადის შეღავათები მუშა-მოსამსახურეთათვის გამოიხატება შემდეგში: სამხედრო მოსამსახურენი და მილიციონერები (მილიციის მწყობრი შემადგენლობა) სრულებით განთავისუფლებული არიან გადასახადისაგან. მუშა-მოსამსახურენი კი განთავისუფლებული იქნებიან იმ შემთხვევაში, თუ მათი სამსახურიდან მიღებული ყოველგვარი გასამრჯელო ექვსი თვის განმავლობაში არ აღემატებოდა 450 ჩერვ. მანეთს. ამის გამო, უკვე დარიგებული გადასახადის ფურცლები გაუქმებულია და ახლო მომავალში მათ გაეგზავნებათ ახალი სათანადო ფურცლები. გარდა ამისა მუშა-მოსამსახურეებს ეს გადასახადი დაეკავებათ სამ ვადაში ჯამაგირის მიღების დროს.

— **ახლობელი მიწისძვრა.** ამა წლის 19 თებერვალს საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია ორი ახლობელი მიწისძვრა. პირველი საღამოს—5 საათზე 39 წუთზე, მეორე საღამოს—5 საათზე და 55 წუთზე, კერა დაშორებულია 300 კილომეტრამდე.

— **ლენინის სახელობის სასახლე ქუთაისში.** 25 თებერვალს ქუთაისში დანიშნულია ლენინის სახელობის გლეხთა სასახლის საზეიმო გახსნა.

— **სტიპენდიები საზღვარ-გარეთ მყოფ სტუდენტებს.** ა.—კ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: ამიერკავკასიელ სტუდენტებს, რომელნიც ამჟამად იმყოფებიან გერმანიაში დაუნიშნოს სტიპენდიები.

— **სახელმწიფო დაზღვევა.** ა.—კ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო „სახელმწიფო დაზღვევის“ დებულება.

— **საბავშვო სათამაშოების სახელოსნო გამასწორებელ სახლში.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა ტფ. პირველ გამასწორებელ სახლში მოაწყო საბავშვო სათამაშოების სახელოსნო, რომლის ნაწარმოების გასაყიდათ სასახლის ქ. გაიხსნა სპეციალური მაღაზია.

— **ჩაის კულტურა.** მიწათმოქ. კომისარიატის ცნობით, ამ ჟამად ჩაის მცენარეულობას ჩაქვაში უჭირავს 450 დესეტინა მიწა.

— **კულტმუშაობა ინვალიდთა შორის.** ინვალიდების არტელთა საერთო კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა კულტმუშაობის წარმოება—წარმოდგენები, ლექციები გამართვა—ინვალდთა შორის.

— **გადასახადისაგან განთავისუფლება.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა აღმასკომებს მაზრებში დაუგზავნა ცირკულიარი, წითელი ჯვარის სამკურნალო და საექიმო დაწესებულებათა ადგილობრივ გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ

— **აფთიაქის მოწაფეთა დაზღვევა.** დამზღ. კასამ გადასწყვიტა დააზღვიოს აფთიაქების მოწაფენი შტატის მიუხედავათ.

— **აბანოები დაზღვეულ ავადმყოფებისათვის.** დამზღ. კასამ გადასწყვიტა იმ დაზღვეულ ავადმყოფებს, რომელთაც ექიმის შემოწმებით ესაჭიროებათ გოგირდის აბანოებით მკურნალობა, მისცეს უფასო ბილეთები გოგირდის აბანოებით სარგებლობისათვის.

— **რკინის გზის დამზღვევი კასა.** რკინის გზის დამზღ. კასის და სოც. დაზღვევის ცენტრალურ კასის ურთიერთ შორის კავშირის დასამყარებლად შესდგა კომისია—სოც. დაზღვევის სამმართველო, რკინისგზის და საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენელთა შემადგენლობით.

— **დავალიანება.** შრომის კომისარიატმა დაადგინა მოხსნას მიწათმოქ. კომისარიატზე სოც. დაზღვევის დავალიანება 1923 წ. ივლისის თვემდე.

— **შრომის ბირჟა.** 19 თებერვალს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 285 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—51, მოთხოვნილება იყო—17, გაიგზავნა სამუშაოზე—46.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 18 თებერვალს დილის 3 საათზე საპიორნის შეს. № 3, გაქურდული იქნა რაჟდენ ნიკურაძის და არტემ სვანიძის ბინა, საიდანაც წაიღეს ორი რევოლვერი „ნაგანის“ სისტემის 14 ცალი ვაზნით და სხვადასხვა ნივთები 300 მან. ჩერვონცით.

— **ცეცხლი.** 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე სურფ-კარაპეტის ჩიხი № 3, მოქ. ხაჩატუროვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **დაჭრა.** 18 თებერ. დღის 4 საათზე რკინისგზის ლიანდაგის გადაღმა მოქ. ალექსანდრე პივაროვმა დასჭრა სერგო პროშენიკოვი. დამნაშავე შეიპყრეს. მიზეზი დაჭრისა გამოურკვეველია.

— **დუქნის გაქურდვა.** 17 თებერ. ღამით პუშკინის ქ. გაქურდული იქნა მოქ. ნაგიმ იბრაგიმ ოღლის სავაჭრო დარაბა № 3020, საიდანაც წაიღეს 150 ჩერვონეცის საქონელი.

— **შეპყრობა.** 18 თებერ. ღამის 12 საათზე ელისაბედის ქ. № 138. გაქურდული იქნა მოქ. კალისტრატე რაჟდენის ძე ლასხიშვილის ბინა, საიდანაც წაღებულია 50 ჩერ, ნივთები, ეჭვით შეიპყრეს აბას დავრიშოვი.

— **ქურდობა.** 13 თებერვალს დილის 11 საათზე გაქურდეს ჟურნალი „ჩვენი მეცნიერების“ კანტორა, საიდანაც გაიტანეს 40 მილიარდი ფული და 40 ჩერ. ღირებული ტანისამოსი, კუთვნილი ამავე ჟურნალის რედგამომცემელს ა. შილაკაძეს, რომელიც კანტორის გვერდით ოთახში ცხოვრობს, ზარალი სულ უდრის 700 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

სად დავდგათ ლენინის ძეგლი?

ვინ არ იცნობს დღეს ლენინის სახელს და მის უდიდეს ღვაწლსა და შრომას. ვინ იტყვის იმას, რომ ლენინი ღირსი არ იყოს ჯერ თვალთუნახავ—წარმოუდგენელ, საოცნებო, ძეგლისა. დიახ, ის ღირსი იყო და კვლავ დარჩება მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის შეუდარებელ ბელადად. ეხლა ჩვენ ვეძებთ მისი ძეგლის ასაგებ ალაგს და ალაგს ისეთს, რომ იგი იყოს ღირსეული და მასთან აგებული თვალსაჩინო ცენტრში. ასეთ ალაგათ არის მიჩნეული ქალაქის თვითმართველობის წინ—ერევნის მოედანზე, საიდანაც აღებულ უნდა იქნეს „ქარვასლის“ უზარმაზარი შენობა, რომელსაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქისათვის. ფიქრი იმაზე, რომ ეს შენობა დაინგრეს, ჩვენ, მუშებს, დღევანდელ პირობებში მიუღებლად მიგვაჩნია. ასახელებენ სხვა მრავალ ადგილებსაც, რომლიდანაც ჩემი მოსაზრებით შევჩერდები მხოლოდ ორ ადგილზე: ერთი არის ყოფილი „სობორო“. (ყოფილი სამხედრო ტაძარი) და მეორე ფუნიკულიორის მთა. ეს ორი ალაგი ჩვენის აზრით მიზან-შეწონილია, მაგრამ უფრო კარგ ალაგად მიგვაჩნია ფუნიკულიორის მთა. რატომ? იმიტომ, რომ იქ არ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი შენობის დანგრევა და განადგურება. ქალაქის გაფართოების აუცილებლობა იმ ადგილს გახდის ისეთ ცენტრად, რასაც ამ ჟამად წარმოადგენს ერევნის მოედანი. ასეთ მაღალ ღირსების ადამიანს, როგორიც იყო ლენინი და ასეთ მაღალ ადგილზე მისი ნივთიერი სახის აგება სრული მისაღები იქნება ყველა მშრომელებისათვის. ამ მაღლობიდან მის ბუმბერაზ სახის დანახვა ჩვენ ყოველთვის შეგვეძლება ყველა უბნებიდან და ქუჩებიდან. თუ კი ეს რაიმე მიზეზების გამო არ მოხდება, მაშინ მოხდეს ყოფილ სამხედრო სობოროს აღება.

მაგრამ ჩვენ აქაც უნდა გვახსოვდეს ის, რომ ილიჩმა აღმშენებლობით გზაზე დაგვაყენა და არა ნგრევაზე. ნუ შევშლით მის ბრძანებას. ის განსაკუთრებული პიროვნებაა. ის უნდა იყვეს განსაკუთრებულ მაღლობზე, ტრიბუნაზე და იქიდან დიდი ტრიბუნი გვაძლევდეს განკარგულებას...

ტფილ. საქონ. სადგურის მუშა ს. სიდისთაველი.

ჩემი აზრი ამხ. ლენინის ძეგლის შესახებ

(პასუხად სვანიძეს).

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ამხ. ლენინის ძეგლის შესახებ. სხვათა შორის ამხ. სვანიძე გაზ. „კომუნისტის“ № 41 იძლევა რჩევას, რომ სობორო დაინგრეს 8—9 არშინის სიმაღლემდის ზევიდან და შემდეგ შენობა იქნეს სწორე დახურული. მაღლა დაიდგას ძეგლი, ძირს კი წიგნთსაცავი ამხ. ლენინის ნაწერებით და მის გარშემო ნაწერებით. ჩემის ფიქრით ეს ასე შეუძლებელია, ვინაიდან ეკლესიის ნახევრად დანგრევა და მაღლა ძეგლის დადგმა ულამაზოა, რადგან ძეგლი ვითომდა ჰაერზე იქნება გამოკიდებული. ამას გარდა ეკლესია მაინც არ კარგავს თავის ფორმას და ჩვენ მასწავლებელს კი ეს არ შეშვენის. ეკლესია უნდა დაინგრეს საფუძვლამდის და ეკლესიის მაგიერ აშენდეს აქვე ამხ. ლენინის ძეგლი. რაც შეეხება ამხ. სვანიძის ძეგლის გეგმას, მე მგონია, არც ესაა მიზან-შეწონილი, ჩემის აზრით არც ერთი ადგილი ისე შესაფერი არ იქნება, როგორც სობორო. ერთ მხრიდან უცქერის მუშათა სასახლე, მეორე მხრიდან ცენტრალური სასახლე. აქვე გვერდით უნივერსიტეტი, სადაც ლენინისტები იზრდებიან. გარდა ამისა ყველა ჩამოსული პირი, ვისაც კი საბჭოთა მთავრობასთან და მუშებთან რამე საქმე აქვს, სწორედ აქ უნდა მოვიდეს, როგორც ცენტრში. ამიტომ ეს შესაფერი ადგილია ამხ. ლენინის ძეგლისთვის, რაც შეეხება სხვა ადგილებს,—პირველ—ალექსანდროვის ბაღის და მუზეუმის გაერთიანებას, არაა ესეც კარგი, ვინაიდან აქ დგას რამდენიმე ძეგლი და რამდენიმე კიდევ დაიდგმის, ეს ადგილი მაშინ დაემსგავსება სასაფლაოს. ყოფილ ვორონცოვ-ძეგლის ადგილი სრულიად შეუფერებელია. როგორც ძლიერ პატარა მოედანი. რაც შეეხება ქარვასლას, ჩემის აზრით, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. თვით ჩვენს მასწავლებელს რომ ეყურებოდეს ეს, ის აუცილებლად გაგვიჯავრდება და გვეტყვის: რას ჩადიხართ, ჯერ არაფერი აგიშენებიათო და ანგრევთ ისეთ შენობას, რომელიც იძლევა შემოსავალს.“ მეორე მხრით, უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ აქ უფრო ვაჭრებ-სპეკულიანტების და ბირჟევიკების ადგილია და არა ლენინის ძეგლის. რად გვინდა, რომ ამ სპეკულიანტებში **დავდგათ ჩვენი მასწავლებლის ძეგლი.**

გ. მირთაძე.

გამოგზავნილ წერილებიდან

ჩვენი მუშების ხმა ამხ. ლენინის ძეგლის გარშემო

გვახსოვდეს, რომ ლენინს ნგრევა არ უყვარდა.

ჩვენ დროს ნგრევა ყოვლად დაუშვებელია, უამისოდაც შენობების და ბინების დიდს კრიზისს განვიცდით ჩვენ. **ილიჩს** ნგრევა არ სწამდა და ის ამის ნებას არ მოგვცემს ჩვენ არავითარ შემთხვევაში. **ილიჩის** ძეგლია მისი დიადი მოძღვრება, მისი უკვდავების და მარადისობის ემბლემა. გავავრცელოთ **ლენინიზმი** ქალაქებში და სოფლებში, შევასრულოთ მთლიანად მისი ნაანდერძევი და ეს იქნება უძვირფასესი ძეგლი ჩვენი **ილიჩისა.**

მუშა-მელითონე.

ილიჩის ძეგლი ავაგოთ ვაგზლის მოედანზე.

თუმცა ჩვენ, მუშებს, ძველი ბურჟუაზიული ტრადიციები და ჩვეულებანი არა გვრწამს და ყველა ნივთიერ ძეგლებს ჩვენ უარვყოფთ, მაგრამ თუ კი **ჯერ** კიდევ ძველი ხავსი მთლიანად ვერ მოგვიშორებია ჩვენი გონება-შემეცნებისაგან, მაშინ უმჯობესი იქნებოდა **ლენინის** ძეგლი **ავაგოთ ტფილისის სადგურის მოედანზე,** სადაც მართლა თვალსაჩინო ადგილია და დიდძალ მუშებსაც უხდებათ თავიანთი მძიმე მუშაობა.

მტვირთველი მუშა—დო—ნიძე.

ნივთიერი ძეგლი რა საჭიროა?!

დიდი ბელადის პატივისცემა ჩვენ არ უნდა გამოვხატოთ გარეგნული ცერემონიებში **ძეგლების** და სხვა ამგვარ რამეების აგებაში, არამედ ჩვენ უნდა ვეცადოთ შევისწავლოთ, შევიგნოთ, შევისისხლხორცოთ **ლენინის** მოძღვრება; გავატაროთ ცხოვრებაში მისი ნაანდერძევი: გავხსნათ სკოლები, საბავშვო ბაღები, სანატორიები, დავეხმაროთ გლეხობას, მივაწოდოთ მას იაფ-ფასიანი მანუფაქტურა და სამეურნეო იარაღები, გავიყვანოთ გზები, არხები, გავამშვენოთ მუშათა უბნები და სხვა,

აი უკვდავი ძეგლი დიდებული მოძღვრისა, ძეგლი ხელთუქმნელი და სამარადისო.

მუშა რკინიგზელი.

ადგილობრივი კომიტეტები მტკიცედ უნდა იდგნენ სადარაჯოზე.

საბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა გვანიჭებს ჩვენ, მუშებს, ყველა უფლებებს. ჩვენი ვალია ამ უფლებებით გონიერად სარგებლობა. სამწუხაროდ მაინც აქა-იქ ხშირად შეხვდებით ამ მუშათა ბრძოლით მოპოვებულ უფლებების და შრომის კანონების ნებსით, თუ უნებლიეთ, დარღვევას არამც თუ კერძო წარმოება-დაწესებულებებში, არამედ ხშირად საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებშიც. ეს იმითი აიხსნება ერთის მხრით, რომ ეგრედ წოდებული სპეცების სახით დაწესებულებათა სათავეში მდგომ პირებს მაინც და მაინც შრომის კანონების დარღვევა დიდ ცოდვად არ მიაჩნიათ. ასეთი მოვლენები ხშირია ხოლმე.

საკვირველი აქ ის არის, რომ იქვე, გვერდით, არსებობენ ადგილობრივი კომიტეტები, რომლებიც არჩეული არიან იგივე მუშა-მოსამსახურეების მიერ და დიდის ნდობით და უფლებებითაც სარგებლობენ, ვერაფერს აკეთებენ. ამიტომ ამ ორგანიზაციებზე მინდა შევჩერდე ცოტახანს. სამწუხაროდ ზოგიერთი ადგილობრივი კომიტეტები ვერა სდგანან სათანადო სიმაღლეზე. მათ აკლიათ პროფესიონალური და პრაქტიკული გამოცდილება და ხშირად ეს მახლობელი ორგანიზაციები კმაყოფილდებიან სულ უბრალო მუშაობით და ვერ ერკვევიან იმაში, რომ მუშათა კანონმდებლობა და შრომის კანონთა კოდექსი სრულებით უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში. ჩვენს კანონმდებლობებს მშვენივრად აქვთ გათვალისწინებული როგორც ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა, ისე დროებითი სიღარიბეც და ჩვენ, მუშები, დარწმუნებული ვართ იმაში, რომ, მოღონიერდება თუ არა მრეწველობა და მეურნეობა, მაშინვე სამუშაო დროც თანდათანობით შემცირდება შრომის ხელფასიც ნორმალურ დონეზე აიწევს. დღევანდელი კანონის კოდექსი შეფარდებულია თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობასთან და მისი შესრულება აუცილებელია. სხვათა შორის ადგილკომები მოვალენი არიან შრომის ხელფასის დაწესების და მუშა-მოსამსახურეთა ტარიფიკაციის დროს დიდი დაკვირვება გამოიჩინონ, რათა სპეცების ადგილზედ არა სპეცები არ მოხვდენ და კეთილსინდისიერი მუშაკნი სრულიად უბრალოდ არ დასაჯონ. აგრეთვე დიდი აწონდაწონაა საჭირო შტატების შემცირების დროს. აქ ადგილკომებმა უნდა იხელმძღვანელონ მუშა მოსამსახურის საქმის ცოდნა-გამოცდილებით, სოციალური და ოჯახური მდგომარეობით და სხვა. ყოველივე ეს ჩვენს ადგილკომებს, სამწუხაროდ, ვერ ესმით და ამიტომ ბევრი შეცდომები მოსდით.

მუშკორი მკ—ლინიკო.

ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ.

მტკვრის მარჯვენა პირზე ვანქის ეკლესიასთან ქალაქის (თუ მუშკოპის) ფურნის გვერდზე კედლის ძირში ვინმე ლტოლვილნი წვრილ-ცოლშვილის პატრონნი დღე და ღამეს ათევენ. ეს რამოდენიმე თვე არის, რაც ამ ადგილზე მიხდება გავლა-გამოვლა და ასეთი შემაძრწუნებელ სურათის მოწამე ვხდები და თანდათან ვრწმუნდები იმაში, რომ მათზე არავინ ზრუნავს. მე ვფიქრობ, რომ ამ საქმის მოგვარება შედის აღმასკომის მოვალეობაში. იმედია, აღმასკომი აწი მაინც მიაქცევს შესაფერისს ყურადღებას და აღმოუჩენს მათ სადმე ისეთ ბინას, სადაც შეიძლებოდეს ცხოვრება.

გამვლელი ილ. კაციტაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. თებერვლის 18.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო სახაზინო ბილეთების სავალდებულო მიღების შესახებ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მიერ ერთმანეთიანი (1), სამმანეთიანი (3) და ხუთმანეთიანი (5) ოქროს ღირსების სახელმწიფო სახაზინო ბილეთების გამოშვების გამო და სოც. საბჭ. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის თებერვლის 5-ს დეკრეტის თანახმად—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სავალდებულოდ იქნეს მიღება სახელმწიფო სახაზინო ბილეთებისა მთლად ამიერ-კავკასიის სოფ. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ყველა სალაროებისათვის ყოველგვარი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გადახდევინების დროს, აგრეთვე ყველა დაწესებულებისა და საწარმოოსათვის და პირისათვის ყოველგვარი გადასახდელის გადახდევინების დროს აღნიშნული ბილეთების პირველდებული ოქროს ღირებულობით იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახდელი გამიანგარიშებულია ჩერვონეცად ან საჩერვონეცო მანეთად, და ოქროს მანეთის ოფიციალური კურსით იმ შემთხვევაში, უკეთუ გადასახდელი ნაანგარიშევია ამიერ-კავკასიის ან საბჭოთა ფულის ნიშნებად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
აღამალი-ოღლი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ
ა. შავერდოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

დღეს, 21 თებერვალს, საღამოს 6 საათზე **ნაძალადევის თეატრში** გაიმართება

ვ. ი. ლენინის სამგლოვიარო საღამო.

მოწვეულნი არიან პარტიის ყველა წევრები და უპარტიო მუშები.

ს. კ. პ. ლენინის (1 რაიკომი) რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე დოლიძე.

— **ს. კ. პ. ტ. რ. ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ ხუთშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 6 საათ. ქალაქის რაიკომის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 22) დანიშნულია **თათბირი ქალაქის რაიკომის კომუჯრედთა მდივნებისა.**

სავალდებულოა ყველა უჯრედების მდივანთა დასწრება.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** წინადადებას აძლევს ამხ. ხაპაპურიძეს, დუდუჩავას, ბრომიკერს და ბუაჩიძეს გამოცხადდენ დღეს 21 თებერვალს, დღის 1 საათზე, ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მოსალაპარაკებლად.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მოადგილე ორაგველიძე.

— დღეს 21 თებერვალს, დილის 11 საათზე, ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში **შესდგება საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავის გამტარებელი ცენტრალური კომისიის სხდომა.**

უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: 1. ამხ. საბაშვილი. 2, კაჩიანი. 3. საყვარელიძე. 4. კიქნაძე. 5. რუბენი.

საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— **ს. კ. პ. ტ. ორ—ციის არსენალის რაიკომი** იუწყება, რომ ხუთშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის ბინაზე (პლეხანოვის პროსპ. № 123) **მოხდება საერთო სარაიონო კრება.**

დღის წესრიგი: 1. მოხსენება საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ. 2. მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა დასწრება არსენალის რაიონის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა.

მდივანი ნაზაროვი.

— პარასკევს, 22 თებერვალს დღის 3 საათზე, დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის კომუჯრედის მორიგი კრება მუშფაკის შენობაში. საკითხების ფრიად მნიშვნელობის გამო დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა.

კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი დ. თხილავა.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

19 თებერვალი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით): ფოთი... 4 გრ., სოხუმი 3 გრ., ბათომი... 4 გრ., სამტრედია... 4 გრ., ქუთაისი 3 გრ. აჯამეთი 3 გრ., ჭიათურა... 2 გრ., ბორჯომი... 1 გრ, სურამი... 0 გრ, მუხრანი 0 გრ., ტფილისი... 1 გრ., მუკუზანი... 0 გრ., ერევანი... 0 გრ., ბაქო... 1 გრ., წიფა... 1 გრ.

ღრუბლიანობა: სოხუმში—მნიშვნელოვანი; ბაქოში—მეტად საგრძნობი; სრული ყველა დანარჩენ ადგილებში.

ქარის ქროლა: ბათომში—სამხრეთის, ნელი. ბაქოში—ჩრდილოეთის, ზომიერი. დანარჩენ ადგილებში ნელი, ან სულ არ ქრის.

ნალექი: წვიმა წინა დღით სოხუმში, ფოთში, ბათომში, სამტრედიაში, ქუთაისში, აჯამეთში. ნელი თოვნა წიფაში, ბორჯომში, მუხრანში, ტფილისში.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან: ცნობები არ არის მიღებული

ამინდი საქართველოში: მოღრუბლულია, არის ნალექი, ჰყინავს აღმოსავლეთ-საქართველოში.

ჩრდილოეთ-კავკასია.

19 თებერვალი, დილის 7 საათი.

კაზბეგი. ტემპერატურა:—6 გრ., მოღრუბლულია, ქარი არ ქრის. ნელი თოვნა დღით.

კიზლიარი. ტემპერატურა:—6 გრ., მოღრუბლულია, ქრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

20 თებერვალი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 3 გრ., მოღრუბლულია, ქრის სამხრეთის ნელი ქარი.

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი
(ცეკავშირი)
საბანკო განყოფილება
კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან და კერძო პირთაგან
იღებს: ანაბარს
ვადიანს, უვადოს და მიმდინარე ანგარიშზე
ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ჩერვონეცის კურსის მიხედვით და აგრეთვე ჩერვონცებით როგორც კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადო ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე კერძო პირთაგან.
იღებს ფულს გადასაგზავნად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში. ფულის გადაგზავნა შეიძლება ჩერვონცების კურსის მიხედვითაც.
კრ. 894 3—3

საქციო სატრანსპორტო საზოგადოება
„ტრანსპორტ“
ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6.
აქვს მთელ ფედერაციის ტერიტორიაზე 200 განყოფილებაზე მეტი.
გადაზიდვა საქონლისა და შენახვა საკუთარ საწყობებში
სრული ქონებრივი პასუხისმგებლობა
დაზღვევა
ინკასსო. ფასის დადება. სესხი საქონლის გირაოთი
ფრახტის სესხი
საექსპედიციო დავალებების და საბაჟო ფორმალობის ასრულება
საკომისიო საქონლის საწყობები
საქონლის სპეციალური გამყიდნი (პროვოდნიკები)
საზღვარგარეთის კორესპონდენტები:
შენკერ და კომპ. დედუტრა, პოლონეთის ლოიდი და დებრუსს.
კრ. 901 2—2

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების სასამართლოს საქრებულო

იწვევს ოგანეს გრიგოლის-ძე არაქელოვს ხსენებულ სასამართლოში, სასამართლოს ქ. № 32 თავის მისამართის საჩვენებლად 1 თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა სარქის არაქელოვის პიროვნების და ქონების მეურვის ელენე არაქელოვის მიერ აღძრულ საქმეზე საზრდოს შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განხილულ იქნება არსებითად.

აღმ. საქ. ოლქის სასამ. სამოქალაქო განყ. თავმჯდომარე ალ. ჩოჩიევი.

574 1—1

ექიმი
კ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის. სამმართველოს მახლობლად. 499—25—9

მანდატი, რომელიც გაცემული აქვს ს. მ. ფ. ს. თამბაქოს ტრესტს მოქ. **არსენიშვილის** სახელზე 1922 წ. 8 ნოემბერს № 142814 და რომელიც აძლევს მოქ. არსენიშვილს უფლებას თამბაქოს ნაწარმოები გაასაღოს ფოთის რაიონში, ჩაითვალოს გაუქმებულად.

3—2 867 **თამბაქოს ტრესტის დირექცია.**

დავკარგე მოწმობა შემცირების შესახებ, გაცემული მეორე კომისარიატის მიერ გიორგი კაპანაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 № 576.

განცხადებები

ნინო დიმიტრის ასული ლუდუშაურისა შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ამა თვის 18 რესპუბლიკის ფსიხიატრულ საავადმყოფოში გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე, ყაზბეკის შვილი

ბართლომე ლუდუშაური

გასვენება მიხეილის სამკურნალოდან ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, დღეს ნაშუადღევის 4 საათზე.

1—1 № 575.

ვ. ი. ლენინის სახელობ.
სახელმწ. აკადემიური
ოპერის თეატრი
დღეს, 21 თებერვალს,
ტოსკა
ხვალ, პარასკევს, 22 თებერვალს
პირველად
ლოენგრინი
ნის. 894 3—2

ხელოვნება

სიმფონიური კონცერტი ოპერაში

მეორე სიმფონიური კონცერტის პროგრამა შესდგებოდა რუსეთის უდიდეს ლირიკოსის ჩაიკოვსკის ნაწარმოებებისაგან.

კონცერტი დაიწყო მშვენიერი მეოთხე სიმფონიით.

მეოთხე სიმფონიის შესავალი რამოდენიმეთ მკრთალად იყო შესრულებული, სამაგიეროთ სიმფონიის დანარჩენი ნაწილი მშვენივრად არის გადმოცემული.

საუცხოვოთ იყო შესრულებული ჩაიკოვსკის სიმფონიური პოემა „ფრანჩესკა დი რიმინი“, სადაც კომპოზიტორი ასურათებს ფრანჩესკას და პაოლოს მთელ დრამას და დანტეს ფანტასტიურ სტუმრობას ჯოჯოხეთში. მშვენივრად იყო გადმოცემული ფრანჩესკას მწუხარე მოთხრობა (კლარნეტის და ვიოლინოს თემა); კოლორიტულად არის გადმოცემული ქაოსი (სკრიპკა და სპილენძის ინსტრუმენტები). ორივე ნაწარმოებმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

სოლისტებათ გამოვიდნენ მოსკოვიდან ჩამოსული. პიანისტი ქალი მირზოევა, რომელმაც შესრულა ჩაიკოვსკის უძნელესი კონცერტი. მირზოევა ეკუთვნის გამოჩენილ თანამედროვე პიანისტებს. მან გვიჩვენა მშვენიერი ტეხნიკა, მუსიკალობა, პედალიზაცია და პასაჟების მხატვრული დამთავრებულობა ფრაზებში (განსაკუთრებით კადენციში და ფინალში). პიანისტ ქალმა შესრულა აგრეთვე ნაწყვეტი მოცარტის რექვიემიდან.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე პროფ. ცოვიანოვმა, რომელმაც შესრულა „როკოკო“-ს ვარიაციები. ცოვიანოვს, როგორც ვიოლონჩელზე დამკვრელს, ახასიათებს არტისტიულობა და მაღალი ღირსებები. ამ საღამოსაც შესრულება ამოცანის სიმაღლეზე იყო.

პ. ბიბუთოვი.

კორპორაცია „დურუჯი“-ს განცხადება.

— „კომუნისტი“-ს რედაქციასთან მოლაპარაკების შემდეგ*) კორპორაცია წინადადებას აძლევს რეჟისორ ალექსანდრე ახმეტელს და არტისტებს: პლატონ კორიშელს, ვიჩესლავ ჯიქიას და აკაკი ვასაძეს დაუბრუნდნენ ჩვენს წრეს, მხოლოდ კორპორაციის დისციპლინის დარღვევისათვის სჯის მათ თანახმად შინა კორპორაციის წესდებისა.

კორპორაცია „დურუჯი“.

— **ხელოვნების სასახლეში.** პარასკევს, 22 თებერვალს, ხელოვნების სასახლეში შესდგება პროლეტარულ მწერალთა მორიგი (მესამე) ლიტერატურული საღამო, მოხსენებით თანამედროვე თეატრის მდგომარეობაზე („დურუჯის“ შესახებ) გამოვლენ ამხ. ი. გედევანიშვილი და შ. დუდუჩავა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე, შესვლა ყველასათვის თავისუფალია.

— დღეს ხუთშაბათს, 21 თებერვალს საღამოს 6 საათზე შესდგება მორიგი სხდომა პროლეტარულ მწერალთა კავშირის გამგეობისა. დასწრება წევრებისა სავალდებულოა.

— **არსენა ჯორჯიაშვილის ძეგლი.** სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძე ამჟამად აკეთებს არსენა ჯორჯიაშვილის ძეგლს ბრინჯაოსაგან.

— **საბავშვო თეატრი.** პარასკევს სახ. საბავშვო თეატრში გაიმართება მორიგი საბავშვო წარმოდგენა ქართულ ენაზე.

— **ახალი სათეატრო ჟურნალი.** გამოვიდა ახალი სათეატრო ჟურნალი „თეატრი და არენა“ რუსულ ენაზე.

— **სამგლოვიარო საღამო.** დღეს პარტიულ კლუბში გაიმართება ლენინის საპატივცემულო სამგლოვიარო საღამო ლენინის პირადი ნაცნობ-მეგობრების მონაწილეობით.

— **სამხატვრო გამოფენა.** ახლო ხანში სომეხ ხელოვანთა სასახლეში „აიარტუნში“ გაიმართება სამხატვრო გამოფენა.

— **სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემათა გამოფენა.** თებერვლის 1-დან სახ. გამომცემლობის გამოცემები სახგამის მაღაზიაში იყიდება 25 პროც. დაკლებით.

— **„გარსი მარადი“** მთავარლიტთან არსებულმა სარეპერტუარო კომისიამ რეპერტუარში შეიტანა კ. გამსახურდიას პიესა „გარსი მარადი“ 6 სურათი.

— **„ქრისტინეს“ ლიტერატურული გასამართლების გადადება.** ნინოშვილის გმირის „ქრისტინეს“ ლიტერატურული გასამართლება, რომელიც დანიშნული იყო 16 თებერვლისათვის პროფკავშირთა დარბაზში, გადაიდო 24 თებერვლისათვის სხვა და სხვა მიზეზების გამო.

დღეს თეატრებში

— **ოპერა.** „ტოსკა“.

— **დრამა.** „მასკოტ“

— **სახ. სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

ცეცხლისაგან დაზღვევის საქმე სიღნაღის მაზრაში

ჯერ კიდევ ნორჩ დაზღვევის საქმეს იმთავიდანვე აუარებელი მტერი გაუჩნდა, რომელიც ხალხს უსისინებდა, რომ საბჭოთა მთავრობა ვითომ და დაზღვევის სახით ახალ-ახალ გადასახადს ახდევინებს ხალხს.

მაგრამ, აი ერთმა უბედურმა შემთხვევამ გაჰფანტა ყოველგვარი პროვოკაცია.

იანვრის ბოლო რიცხვებში ქ. ლაგოდეხში უეცარ შემთხვევის გამო ცეცხლისაგან დაიწვა 8 დუქანი. ეს ეცნობა სასწრაფოდ ცენტრს, საიდანაც მესამე დღესვე ჩამოვიდა ლაგოდეხში ინსპექტორი გ. ნ. გლადკოვი, რომლის განკარგულებითაც იქნა დაკმაყოფილებული ყველა პრეტენზიები დაზარალებულთა. მათ მიიღეს 3.500 მანეთი ჩერვონცებით იქვე, რამაც ყველას თვალნათლივ დაანახვა, თუ როგორ ასრულებს სახელმწიფო თავის მოვალეობას ხალხისადმი. იმ დღესვე ხალხმა ძველ ნანგრევებზე ახალი შენობების შეკეთება და გაშენება დაიწყო.

საჭიროთ ვცნობთ, რათა დაზღვევა გავრცელებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კულტურაზედაც, რომ ამით ჩვენი მაზრა რამოდენიმეთ მაინც უზრუნველყოფილი იქნეს სტიქიურ უბედურებისაგან. როცა გლეხი თავის თვალით ნახავს, რომ მის მიერ დაზღვეული მეურნეობას მართლა იცავს სახელმწიფო, მაშინ მასში უფრო გაძლიერდება საბჭოთა ხელისუფლებისადმი ნდობა და პატივისცემა.

მახლობელი.

ქ. სურამი

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს ჯერ კიდევ დაუსრულებელი, ამხ. ლენინის სახელობის სურამის საზაფხულო თეატრი—საკმაოდ მოზრდილი, რომელიც თითქმის ათას კაცზე მეტს იტევს და საუცხოვო გეგმაზეა ნაშენი. ზაფხულში საგარაკოდ მოზღვავებული ხალხი განცვიფრებაში მოჰყავს ამ სანახაობას, მაგრამ ერთ რამ ფრიად დიდ ნაკლზე სწყდებათ გული, სახელდობრ იმაზე, რომ ეს თეატრი უყურადღებოდ არის მიტოვებული, ყურისმგდებელი არავინა ჰყავს, რომ ის ნაკლი, რომელიც მას შესამჩნევ ძალად აქვს დაჩნეული, შეავსოს და საქმე კეთილად დააგვირგვინოს. არა ერთხელ ყოფილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აღნიშნული; მიხედეთ, სურამის თეატრი დახმარებას საჭიროებსო. მაგრამ თქმით კი ბევრი ითქვა და საქმით კი არა გაკეთებულა რა. დიახ, სურამის თეატრი შველას საჭიროებს და თუ დროზე არავინ იზრუნა, მერე გვიან იქნება. ეს თეატრი წარმოადგენს ხის ნაშენობას და ყველას წარმოდგენილი ექნება, რომ ასეთი მასალით ნაშენი რამე, თუ მას დროზე არ მიექცა ყურადღება და არ დასრულდა, დიდი ხნის მომავალი არა აქვს. სწორედ ასეთივე მსგავს სურათს წარმოადგენს ეს თეატრი, რომელიც ჟამთა განმავლობაში ლპება, იხრწნება და გულის შემატკივარი კი არავინ ჰყავს, რომ მას სიკვდილის პირზე მისვლამდის მიეხედოს და გადაარჩინოს განსაცდელს, რომელიც მას ადრე მოელის. საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ აიღოს თავის ხელში ინიციატივა ამ თეატრის შეკეთების და დამთავრების. ამ საქმეს ბევრნი გამოეხმაურებიან და შესაძლებელი გახდება საჭირო თანხის შეგროვება. სირცხვილია, რომ დიადი მასწავლებლის სახელობის თეატრი უყურადღებოდ მივატოვოთ.

ი. ზაგოშიძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი ჩვენი განცხადება.

ჩვენ, მენშევიკების პარტიის ძალაუფლების დროს ბოლშევიკური ორიენტაციისთვის გადაცემული ვიყავით პარტიულ სასამართლოს, რასაც მოჰყვა ჩვენი პარტიიდან და გვარდიის რიგებიდან გამორიცხვა... მას შემდეგ, მიუხედავად ჩვენი შინაგან მისწრაფებისა, თავს ვიკავებდით ოფიციალურად კომპარტიის რიგებში ჩადგომისაგან, რომ ჩვენი ეს ნაბიჯი თავმოყვარეობისა და კარიერისტობისათვის არავის მიეწერათ; ისე კი, საქმიანობით, მუდამ გულწრფელად ვმუშაობდით მუშათა და გლეხთა ძალაუფლების განმტკიცებისათვის. ეხლა კი სურვილი გვაქვს მთელი ჩვენი ენერგიით გულწრფელად ვემსახუროთ მუშათა და გლეხთა ინტერესების განმსახიერებელ კომუნისტურ პარტიას და სხვასთან ერთად წვლილი შევიტანოთ მისი განმტკიცების საქმეში—მისი საბოლოო მიზნების გასამარჯვებლად.

ვლადიმერ თედორეს ძე ფხაკაძე, თედო გაბოს ძე გაბაშვილი.

საშემოსავლო გადასახადი

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში აცხადებს

სამხედრო მოსამსახურეების და მილიციონერების, აგრეთვე დაწესებულებების, წარმოებების და მეურნეობების მუშა-მოსამსახურეების საყურადღებოდ შემდეგს:

1) თანახმად ა. კ. ც. ა. კ. და ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 11 თებერვლის დეკრეტისა, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკა“ ა. წ. 13 თებერვლის 502 №-ში, საქართველოს რესპუბლიკის ფინინსპექტორების მიერ ზემოხსენებულ პირთათვის დაგზავნილი გადასახადის ფურცლები მათზე გაწერილ საშემოსავლო გადასახადის რაოდენობის შესახებ გაუქმებულია.

2) სამხედრო მოსამსახურენი და მილიციონერები (მილიციის მწყობრი შემადგენლობა), თუ მათ არა აქვთ შემოსავალი სხვა წყაროებიდანაც, გარდა სამუშაო ხელფასისა, თავისუფალნი არიან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან.

3) დაწესებულებების, წარმოებების და მეურნეობის მოსამსახურენი, თუ მათ არა აქვთ შემოსავალი სხვა წყაროებიდანაც, გარდა სამუშაო ხელფასისა, და სამსახურში ყოველგვარი გასამრჯელოდან მიღებული მათი ექვსი თვის შემოსავალი 1923 წლის 1-ლ აპრილიდან 1-ლ ოქტომბრამდე არ აღემატება 450 ჩერვ. მ. თავისუფალნი არიან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან. მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც არა აქვთ შემოსავალი სხვა წყაროებიდან, გარდა სამუშაო ხელფასისა, იბეგრებიან გადასახადით:

ა) 450 მან. შემოსავლის ზევით 500 მანეთამდე—3 ჩერვონეცის მანეთი
ბ) 500 მან. შემოსავლის ზევით 650 მანეთამდე—5 ჩერვონეცის მანეთი
გ) 650 მან. შემოსავლის ზევით 800 მანეთამდე—8 ჩერვონეცის მანეთი

დ) 800 მან. შემოსავლის ზევით და სხვა გადასახადის განაკვეთები უნდა დაწეულ იქნას ორი ხარისხით იმ ცხრილის მიხედვით, რომელიც დაწესებულია ექვსი თვის პერიოდისათვის.

გადასახადის ფურცლების გაუქმების მაგივრად მუშა-მოსამსახურეებს რაიონულ საშემოსავლო გადასახადის კომისიების მიერ დაგზავნილი ექნებათ მილიციის საშუალებით ახალი გადასახადის ფურცლები.

4) თანახმად ა. კ. ფინსახკომის 1924 წ. 13 თებერვლის დადგენილებისა, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკა“ ა. წ. 14 თებერვლის 503 №-ში, მუშა-მოსამსახურეებზე, რომელთაც არა აქვთ შემოსავალი სხვა წყაროებიდან, გარდა სამუშაო ხელფასისა, გაწერილი 1923—1924 წ.წ. პირველი საგადასახადო ნახევარ წლის საშემოსავლო გადასახადი, უნდა დაკავებული იქნეს დაწესებულებების და დამქირავებელთა მიერ იმ სიებით, რომლებსაც გაუგზავნიან მათ რესპუბლიკის ფინინსპექტორები, სამ ვადაში, შრომის ხელფასიდან ყოველთვიურად, თებერვლის თვიდან დაწყებული, გადასახადის რაოდენობის ერთი მესამედის, რომელიც გადაყვანილი უნდა იქნეს ა. კ. ფულის ნიშნებზე, დაკავებულ დღის კურსით, საურავის დაურიცხავად.

თუ ვინიცობაა მუშა-მოსამსახურე დათხოვნილი იქნება სამსახურიდან, მასზე შეწერილი საშემოსავლო გადასახადი დაკავებული უნდა იქნეს დამქირავებლების მიერ სრულიად უკანასკნელ მისაცემ გასამრჯელოდან ან ჯამაგირიდან.

დაკავებული ფული უნდა შეტანილი ან გადაგზავნილი იქნეს ფოსტით დაწესებულებების, წარმოებებისა და კერძო დამქირავებლების მიერ ფინსახკომის სალაროებში სამი დღის განმავლობაში დღიდან დაკავებისა, სიის დართვით, რომელშიაც აღინიშნება: ა) გადამხდელის სახელწოდება, ბ) გადასახადის ფურცლის № და საფინანსო რაიონი, რომელსაც გამოუანგარიშნია გადასახადი, გ) გადასახადის რაოდენობა და დ) სიით დაკავებულ გადასახადის ჯამი.

ა. კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის მაგიერ **ლ. ღოღობერიძე.**
გადასახადთა განყოფილების მმართველი **ი. ჩიქოვანი.**
პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილების გამგე **ა. ბოხირბანიშვილი.** კრ. 907 1—1

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 28 (3 თებ.).

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, სობა წყნეულიძის ქუჩა № 4.